# არსენალი

№19 (166). 14-27 სექტემბერი, 2012 წ. ფასი 2 ლარი სამხედრო-ანალიზიკური ჟურნალი



603


## რუსი მესაზღვრეები ოკუპირებული ცხინვალის გარშემო


1425
2012


## სახიფათო საიდუმლო თამაშები

ლოპოტის ხეობაში — დალესტნიდან თუ პანკისიდან?!

## რუსული დივიზია შავი ზღვიდან საქართველოსკენ

## ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ისტორია

ISSN 1987 - 5061

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები სამხედროებს 12



ფრონტზე 43

MSPO 2012 16

საზღვაო ოპერაციები სირიის სანაპიროსთან 34

აშშ-ის არმიის ინდიელი სკაუტები 48

ტყვიამფრქვევი უპილოტო ვაზნებით

53

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

28


**ქალბედოსანი**

4 სამხედრო სიახლეები

**სანდალი**

7 სახიფათო საიდუმლო თამაშები

**ოკუპირებული ტერიტორიები**

9 რუსი მესაზღვრეები ოკუპირებული ცხინვალის გარშემო

**პრევენციის წინ**

12 ხელისუფლების წინასწარჩვენო დაპირებები სამხედროებს

**საფრთხე**

13 რუსული დივიზია შავი ზღვიდან საქართველოსკენ

**სწავლებები**

14 BLACKSEAFOR-ი
საქართველოს გარეშე

**ექსპოზიცია**

16 MSPO-2012

**რეგიონი**

18 კავკასიური მოელენების მიმოხილვა

**საეცსამსახურები არქივიდან**

20 ვინ ჯაშუშები მოქმედებენ ვაფიანში?

**კრიზისი**

24 დაესჯანი — გამოუცხადებელი ჯიჰადის ქრონიკა

**მეომრები**

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**ფლოტი**

34 საზღვაო ოპერაციები სირიის სანაპიროსთან

**ლოკალური ომები**

37 „ინოკაციების ომი“

**ორი სტიქიის მგრძანებლები**

40 საგემბანო ავიაცია

**ლიტერატურული გვერდი**

43 ფრონეზე

**100 დიდი მხედართმთავარი**

46 პრინცი რუპერტი

**ამერიკის ომები**

48 აშშ-ის არმიის ინდიელი საუნტები

**სამხედრო ისტორიები**

50 ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ისტორია

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

53 ტყვიამფრქვევი უპირველო ვაზნებით



## რედაქციისგან

ქართულ მასმედიაში გაურკვევლად ინფორმაცია, რომ ვერ თბილისის საჯარო-შეფოფოებში მიიყვანეს მოწამლული ჯარისკაცები, შემდგომ კი ბორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. გაურკვევლუელი ხმებით მოწამლულია დაახლოებით 35 სამხედრო და თითქოს მოწამლის მიზეზი საკვები გამხდარა.

10 სექტემბრისთვის, როდესაც „არსენალის“ ეს ნომერი სტამბაში იგზავნებოდა, ვერ კიდევ არ იყო გაურკვევლუელი თუდაკვის სამინისტროს ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, მართლაც მოწამლნენ თუ არა ჯარისკაცები.

თუდაკვის უწყების დუმილი არათუ გასაკვირია, არამედ მეუღებელიც, რადგან როგორც სახელწოდება ინტერტეტი ეფლებელია საზოგადოებას პასუხი გასცეს — მართლაც მოწამლნენ ჯარისკაცები თუ, ეს ინფორმაცია სამართლეს არ შეესაბამება.

რეპორტაჟი „არსენალიდან“ „გაზდა ცხინვალი ჯარისკაცების მოდაჯადოს ფაქტი სამართლიან ბრალისგამგებ.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავთო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიფერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
10.09.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ფურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
ბარასკევს



გარეკანზე: ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავი
Mississippi CVN 782

# ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲛ ᲒᲣᲒᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲤᲠᲘᲜᲐ... (ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ)

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲤᲠᲘᲗᲮᲝᲒᲜᲔ ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲑᲠᲐᲡᲐᲖᲔ ᲐᲕᲒᲝᲛᲝᲖᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲝᲛᲐᲥᲐᲥᲔᲑᲘᲡ




თუკი, შემთხვევით ჩვენს ჩრდილოეთით მოსაზღვრე სახელმწიფოში მოგიწიათ აეტომობილით მგზავრობამ და გზატკეცილზე ღიღინ-ღიღინით მიმავალს მოულოდნელად სამხედრო შეფულმფრენმა, თვითმფრინავმა ან სულაც კოსმოსურმა ხიმალდმა ისე ჩაგიშუნალათ, რომ ვარცხნილობა აგიწეწათ ნუ დაიბნეთ და ნურც შეიცხადებთ — უბრალოდ, ეს რუსეთია...

სულაც არ ვხუმრობთ ახლახან რუსულ მედიაში ორი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია გამოჩნდა, რომელიც ზემოთქმულს ადასტურებს.

ჯერ იყო და, რამდენიმე კვირის წინ, დონის როსტოვი-ვოლგოგრადის ტრასაზე აეტომობილით მიმავალი ტიუმენელთა ოჯახი სახტად დარჩა, როდესაც თავზე, რამდენიმე მეტრში, საფრონტო ბომბდამშენმა Cy-24M-მა გადაუფრინა.

მოქალაქეებმა კადრის დაფიქსირება მოასწრეს და მფრინავის „ბოროტი ხუმრობის“ ამსახველი ვიდეორგოლი ინტერნეტშიც განათავსეს.

ამ შემთხვევის დაფიქსირებაც ერთ-ერთმა მძღოლმა ვიდეორეგისტრით მოასწრო და უმალ ინტერნეტში განათავსა ვიდეორგოლში ნათლად ჩანს — შეფულმფრენს სულ ცოტა დაკლდა, ტრასაზე მიმავალ აეტომობილების სახურავებს რომ არ „გაეხახუნა“.

ინციდენტით ურალის სატრანსპორტო პროკურატურა დაინტერესდა და ახლა ცდილობს ჯერ ის გაარკვიოს, ძალზე დაბალ სიმაღლეზე მფრენი შეფულმფრენი სამოქალაქო აეროპორტია თუ სამხედრო.

თუკი მძღოლების თავზარდამცემი შეფულმფრენი სამხედრო უწყებებისაა, რუსული კანონმდებლობით, მფრინავს პასუხისმგებლობაში მიცემა ნაკლებად ეშუქრება — შესაძლოა ის საწვრთნელ მანეურს ასრულებდა, რომლის ფარგლებშიც დაბალ სიმაღლეზე ფრენის ბრძანება ჰქონდა მიღებული.

კაცმა რომ თქვას, შეფულმფრენი სამოქალაქო რომც აღმოჩნდეს, დიდი შანსია რუსეთში არც ამ შემთხვევაზე მოსთხოვონ ვინმეს პასუხი. მაგალითად, „როსავიაციაში“ განმარტავენ, რომ შეფულმფრენს ნებისმიერ სიმაღლეზე ფრენის უფლება აქვს და იან, ვიდეოში არსად ჩანს რაიმე გასაკეთებელი დარღვევები.

იმავე „როსავიაციის“ ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ჟურნალისტებთან ლიმილით ისიც თქვა, რა ვუყოთ, ადამიანებს ზოგჯერ მაწუხებ მდგარი შეფულმფრენებისაც კი ეშინიათ და ამ ფაქტზე ზედმეტად დრამატიზება არ ღირსო...

უკანმენტარიდ. მხოლოდ გირჩევ, აღნიშნული ვიდეორგოლები ინტერნეტში მოიძიოთ.

## „ᲔᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲛᲔᲥᲐᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲐᲔᲑᲐᲜᲐᲒᲘ ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜᲘ“

ეტყობა, ჩრდილოეთ კორეაში მაინც თავისებურად უყვართ და უხარიათ აი, მაგალითად, დასავლეთში არცთუ პოპულარული კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პარტიის პირველი მდივანი და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე კიმ ჩენ ინი ქვეყნის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს ოფიციალური ვიზიტით ეს-ტუმრა, რითაც იქ მყოფები უზომოდ გააბედნიერა.

აღსანიშნავია, რომ ამ სამხედრო ნაწილში, ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენლები მსახურობენ და კორეელმა ქალებმაც ლიდერს საკმაოდ ემოციური დახვედრა მოუწყვეს. რა თქმა უნდა, კიმ ჩენ ინმა სახელგაბმულ ფორმიან მანდილოსნებთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო, რომელთაგან რამდენიმე ინტერნეტშიც მოხვდა.

# „სტრიქის“ მეთაურმა პილოტაჟურ ჯგუფს ეფლეთა გაუყიდა

მოსკოვის ოლქში დააკავეს პილოტაჟური ჯგუფ „სტრიჟის“ მეთაური ვალერი მოროზოვი, რომელიც გამოძალვაში ეჭვმიტანილი. რადგან უცნაურიც უნდა იყოს, საქმე ცნობილი რუსული პილოტაჟური ჯგუფის ემბლემის გამოყენების უფლებისთვის ქრთამის აღებას ეხება.

თურმე ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელსაც თავის წარმოებულ საფიბრურთო მაასუფრებსა და პროდუქციაზე „სტრიჟის“ სიმბოლოს განთავსება სურდა, მოროზოვმა ნებართვაში ყოველთვიურად ჯერ 5, შემდეგ კი 35 ათასი რუბლის გადახდა მოსთხოვა.

მეწარმემ მეთაური დაასმინა და მფრინავი ქრთამის აღების ფაქტზეც დააკავეს. მოროზოვი დანაშაულს არ აღიარებს და აცხადებს, რომ პროვოკაციის მსხვერპლი გახდა.

პილოტაჟური ჯგუფი „სტრიჟი“ 1991 წელს შეიქმნა, მისი პილოტები კი უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს გამანადგურებელ МиГ-29-ებით ასრულებენ.

# გერმანიაში წესრიგს „თოლია-პოლიციელი“ იცავს

კრიმინალს ყველგან თავისებურად ებრძვიან, დანაშაულის პრევენცია კი ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესია და მეთოდების დახვეწა-განახლებაც მუდმივად აუცილებელია. ასე ფიქრობენ გერმანელი სამართალდამცველებიც. აი, მაგალითად, კუნძულ უზედომის პოლიციის განყოფილებამ, რომელსაც ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლზე პატრულირება ევალება, წესრიგის უზრუნველსაყოფად „თოლია-ინსპორმიანი“ პოლიციელიც გაამწესა.

უზედომის პლაჟზე მოსეირნე „თოლია“, სახლად კლარა, ორ საქმეს ერთად აკეთებს, — თავისი გამოჩენით დამსვენებლებს ახალისებს და თან დამნაშაულებს გულს უფოქავს. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნება, რომ „თოლია-პოლიციელის“ გამოჩენის შემდეგ სამართალდარღვევამ 22 პროცენტით იკლო.

# ზეზუსტმა ავიაბომბამ პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა

კომპანია MBDA-მ ნიუ-ჰემფშიროს შტატში ახალი ბომბი GBU-44/E Viper Strike გამოცადა. ტესტირება პოლიგონზე ორი დღე მიმდინარეობდა და თვითმფრინავ Cessna Caravan-იდან გაშვებულმა ბომბებმა მაღალი სიჩქარით მიმფაფალი რეაქტანსპორტო სამუალება განადგურეს.

Viper Strike-ი პლანირებადი ბომბია, რომელსაც სამიზნის განადგურება მაღალი სიზუსტით შეუძლია. საამისოდ კი GPS-ნავიგაციისა და დამიზნების ნახევრად აქტიურ ლაზერულ სისტემებს იყენებს. ბომბის წონა 20 კგ-ია. ცდების მიმდინარეობისას ახალ ბომბს თვითმფრინავ KC-130J Harvest HAWK-იდან გაუშვებენ. აღსანიშნავია, რომ Viper Strike-ს უშვებენ სტანდარტული გამშვები მილიდან, რომლის დაყენება როგორც თვითმფრინავზე, ასევე შეუალმფრენელზე და უპილოტო საფრენ აპარატზე შეიძლება.

# NASA-მ ორიგინალური თვითმფრინავის პროექტის დაფინანსება გადაწყვიტა

აშშ-ის აეროკოსმოსურმა სააგენტომ გადწყვიტა, დაფინანსოს ახალი თვითმფრინავის პროექტზე მუშაობა, რომელსაც ე. წ. ზებგერითი ორმხრივი ფრთის (SbiDir-FW) კონსტრუქცია ექნება.

პირველ ეტაპზე პროექტი 100 ათასი დოლარით დაფინანსდება, ხოლო თუკი აპარატი თავის ეფექტიანობას დაამტკიცებს, მაშინ ინვესტიცია 500 ათასი დოლარით მოიმატებს.

ოთხქიმიანი (ორი — დიდი, ორი — პატარა) ვარსკვლავის ფორმის აპარატი ჰაერში აჭრას მოკლე ასაფრენი ბილიკიდანაც შეძლებს. რაც ყველაზე საინტერესოა, ზებგერითი სიჩქარით გასაფრენად ასეთ ტიპის ბალიკი თვითმფრინავი მდგომარეობას შეიცვლის და გვერდულად გაფრინდება. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ტურბინები 90 გრადუსით შემოტრიალდება, აპარატის „ცხვირი“ და „კუდი“ ფრთები გახდება, გრძელი ფრთები კი — თავი და ბოლო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ 10 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲐᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲐ



ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚ ᲘᲐᲠᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲜᲐ 2006-ᲓᲐᲜ 2012 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲝᲠᲯᲔᲠ, 10 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲔᲕᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ, Small Arms Survey-ᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲘᲯᲔᲡᲐ.

ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲯᲐ ᲗᲣ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ 8,5 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ, 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲐᲭᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 4 ᲛᲚᲠᲓ-ᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲣᲛᲗᲮᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘᲔᲑᲘ: ᲐᲨᲨ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ, ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘ, ᲙᲐᲜᲐᲓᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲡ.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲯᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ-ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲣᲑᲛᲐᲠᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲣᲐᲚᲝᲛᲭᲝᲡ ᲥᲕᲘᲜᲐᲗ

„ᲣᲮᲛᲐᲣᲠᲝ ᲡᲣᲑᲛᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲤᲐᲝᲗᲝ“, — ᲐᲡᲔ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲘᲡ ᲮᲔᲤᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲡᲐᲒᲘᲤᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ DARPA, ᲠᲝᲛᲚᲔᲪᲘ ᲬᲚᲐᲥᲚᲔᲕᲘᲗ ᲜᲐᲣᲯᲑᲖᲔ ᲡᲐᲗᲐᲕᲚᲝᲕᲐᲚᲔᲛ ᲣᲐᲚᲝᲛᲭᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲯᲓᲐ. ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ACTUV-ᲘᲡ ᲣᲐᲚᲝᲛᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲘᲖᲔᲚᲘᲡᲔᲚᲔᲥᲢᲠᲣᲚᲘ ᲡᲣᲑᲛᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲣᲠᲗᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲙᲘᲠᲔᲓᲐ. ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲘ, ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲣᲓᲔᲓ, 2015 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲓᲐᲠᲩᲐ ᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲐᲨᲐᲡᲘ ᲨᲔᲣᲩᲐᲠᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲣᲐᲠᲔᲒᲝ.



# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ „ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ

ᲰᲔᲠᲞᲘᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ DARPA-Ს ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲪᲐᲒᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ „ᲡᲐᲘᲝᲠᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘᲜᲓᲝᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ Z-Man-ᲘᲗ ᲡᲮᲒᲐᲓᲐᲡᲮᲒᲐ ᲡᲐᲮᲝᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲪᲐᲠᲘᲡᲐ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲡ ᲛᲫᲘᲜᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲔᲤᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲔᲑᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲧᲔᲤᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲔᲑᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲧᲔᲤᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲐᲜᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲡ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲯᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ-ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲯᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ-ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲐᲓ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲕᲔᲜ

ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲥᲕᲘᲨᲔᲜᲐᲡ ᲞᲚᲐᲟᲘ — ᲔᲡ ᲯᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲢᲔᲮᲔᲑᲘᲡᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲝᲛᲣᲚᲘᲡ „ᲤᲐᲤᲐ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲰᲝᲓᲔ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲣᲠᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲣᲬᲧᲘᲡ, ᲧᲣᲠᲘᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡᲘ, ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲨᲣᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲝᲡ.

ᲜᲐᲯᲝᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘᲐᲠᲘ ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲯᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ **Arktos Developments**-ᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲜᲐᲯᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲣᲙᲐᲓᲣᲠᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲒᲝᲜᲘᲗ ᲐᲚᲐᲡᲙᲐᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲯᲔᲚᲓᲐᲜᲓᲐᲜ „ᲐᲤᲠᲩᲠᲓᲐ“ ᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲚᲐᲡ **Arktos**-ᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲗᲐᲪ ᲪᲣᲠᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲛᲣᲚ-ᲯᲘᲜᲣᲚᲗᲔᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲓᲐ. 15 Მ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲡ 32-ᲢᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲐ ᲙᲘ 10 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲜᲔᲜ, ᲝᲠᲡᲔᲪᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲰᲝᲠᲢᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲚᲣᲠᲘ ᲮᲓᲘᲗ.

# სახიფათო საიდუმლო თამაშები

## ლოპოტის ხეობაში — დაღესტნიდან თუ პანკისიდან?!

აგვისტოს ბოლოს კახეთში, ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, რასაც სამი ქართველი პოლიციელი და სამხედრო ემსხვერპლა და ლიკვიდირებულ იქნა 11 შეიარაღებული პირი, ბევრი კითხვა გაჩნდა.

მთავარი კითხვა ასეთია, — თუკი ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ლოპოტის ხეობაში შეიარაღებული ჯგუფი მართლაც დაღესტნიდან გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი დღვრსანტები იყვნენ, მაშინ რა დღვრსია უნდა მოეწყოთ საქართველოში?

შსს-მ დღემდე ვერ დაასახელა ის მთავარი ამოცანა, რაც ლოპოტის ხეობაში აღმოჩენილ შეიარაღებულ ჯგუფს შეიძლება ჰქონოდა და როგორც ჩანს, ვერც დაასახელებს, რადგან ისინი არც დღვრსანტები ყოფილან და უფრო მეტიც — ეს ჯგუფი დაღესტნიდან საქართველოში არ გადმოსულა!

სწორედ ეს გარემოება, რომ ჯგუფი დაღესტნიდან არ შემოსულა, ძირფესვიანად ცვლის ამ შემთხვევის მთელ სურათს.

ქართულ მასმედიაში უკვე გამოჩნდა ბევრი მასალა თვითმხილველების კომენტარებითურთ, რომელზე დაყრდნობითაც უკვე შეიძლება თითქმის უტყუარი დასკვნის გაკეთება — ეს ჯგუფი შეიკრიბა და შეიარაღდა პანკისის ხეობაში, საიდანაც მიაღწია ლოპოტის ხეობამდე და იქიდან საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთით დაღესტანში გადასვლას აპირებდა.

როგორ აღმოჩნდა შეიარაღებული ჯგუფი ლოპოტის ხეობაში — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

ორ ათეულამდე პირი სოლიდური შეიარაღებით (მათ შორის ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარსატყორცნებით) პანკისის ხეობიდან ლოპოტის ხეობამდე ფეხით ვერ გადავიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ხეობას პირდაპირი ხაზით მხოლოდ 30 კმ-მდე აცილებს, ამ მონაკვეთზე იმდენი მთაგრეხილია, რომ ეს მარშრუტი გამორიცხულია.

ყველაზე რეალურია, რომ პანკისის ხეობაში ჩამოყალიბებულმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ლოპოტის ხეობის დასაწყისამდე, სოფელ ლაფანყურამდე ასფალტირებული გზით, მანქანებით მიაღწია (სხვათა შორის, ლაფანყურელები იხსენებენ, რომ სპეცოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შემჩნეიან სოფლის გზაზე მიმავალი პიკაპი, რომელშიც წვერებიანი მამაკაცები ისხდნენ. სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულ პირებს მართლაც ჰქონდათ წვერები).

თუკი ეს ვერსია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ეს კიდევ ორ კითხვას ბადებს:

პირველი — ადგილობრივი პოლიცია, პატრული, კონტრდაზვერვა თუ ანტიტერორისტული ცენტრი (ყველანი შსს-ს სტრუქტურაში შედიან) ვერ მუშაობენ სათანადოდ, თუკი ორ ათეულამდე შეიარაღებული პირის საქართველოს ტერიტორიაზე ამ მანძილზე (ასფალტირებული გზით პანკისიდან ლაფანყურამდე არანაკლებ 40-50 კმ-ია) გადაადგილება გამოეპარა.

მეორე ვერსიის დამტკიცება ძალიან რთული იქნება, მაგრამ საკარაუდოდ, იგი ყველაზე ახლოსაა რეალობასთან — პანკისიდან ლოპოტის ხეობამდე ამ შეიარაღებული ჯგუფის გადაადგილების შესახებ ქართულმა მხარემ იცოდა და უფრო მეტიც — შეიძლება თავადაც შეუწყო ხელი.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აიხსნება ასეთი გადასვლის შესაძლებლობა იმ დროს, როდესაც ბოლო რამდენიმე წელია შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრი და ადგილობრივი პოლიცია მეტ-ნაკლებად აკონტროლებს პანკისის ხეობას და მათაც არ გამოეპარებოდათ ამხელა შეიარაღებული ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესი.

დავუშვათ მართლაც იცოდნენ ქართულმა სპეცსამსახურებმა პანკისში

სპეცოპერაციის დროს ამოღებული იარაღი

ლიკვიდირებული ჯგუფის წევრები

ასეთი შეიარაღებული ჯგუფის შექმნისა და გადადგილების შესახებ, მაშინ რატომღა ჩაატარეს სპეციოპერაცია ჯგუფის მარშრუტის ბოლო მონაკვეთზე, უშუალოდ საქართველო-რუსეთის საზღვრის ახლოს, როდესაც ჯგუფის წევრების განეიტრალება (თანაც მათი ლიკვიდაციის გარეშე) გზაზე მოძრაობისას, მანქანებში უფრო ადვილი იქნებოდა?

ერთი-ერთი ვერსიის მიხედვით, შეიარაღებული ჯგუფის საქართველოს ტერიტორიიდან დაღესტანში შესაძლო გადასვლის შესახებ წინასწარ შეიტყვეს რუსეთის სპეცსამსახურებმა და რუსეთის ხელმძღვანელობამ თბილისს ერთგვარი ულტიმატუმი წაუყენა, — თუკი ეს ჯგუფი გადმოკვეთს სახელმწიფო საზღვარს, ჩვენ საქართველოს ბრალს დაედებთ ტერორისტების მოშხადებასა და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოგზავნაში, რაც საქართველოს საერთაშორისო იმიჯისთვის დიდი დარტყმა იქნებაო.

ამის შემდეგ, საჯაროდ, ქართულმა მხარემ სცადა შეიარაღებული ჯგუფის შეჩერება და მათთან მოლაპარაკება გამართა. უცნობია, რაზე ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ ფაქტია, ჯგუფის ნახევარი ლიკვიდირებულ იქნა მოულოდნელი ცეცხლით, რაზეც მეტყველებს ვიდეოფირიც, სადაც ნაჩვენები არიან სამალე ტომრებში ჩახოცილები.

იმ ვერსიას, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრებს მანამდეც ჰქონდათ კავშირი ქართულ სპეცსამსახურებთან რამდენიმე ფაქტი ამლიერებს, მათ შორის ისიც, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრების ნაწილი თურმე პანკისელებიც ყოფილან. 2008 წლის აგვისტოს ომში. ისინი ქართველების მხარეს იბრძოდნენ და შეუძლებელია მათ შესახებ არ სცოდნოდათ სპეცსამსახურებს.

უფრო მეტიც — შეიძლება ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი, ისევე როგორც პანკისელთა ერთი ნაწილი, მონაწილეობდა 2004 წლის ცხინვალის ომშიც მაშინდელი საქართველოს შინაგანი ჯარების რიგებში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება მოსაზრება, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა იცოდნენ, რომ პანკისის ხეობაში შეიარაღებული ჯგუფი ჩამოყალიბდა, იცოდნენ მათი მიმოსვლის მარშრუტიც და შეიძლება ეს პირველი შემთხვევა არც ყოფილა.

მაშინ როდესაც რუსეთის ხელისუფლება მუდმივად იმის მიზეზის ძიებაშია, როგორმე განაახლოს სამხედრო აგრესია საქართველოში, ნამდვილად გაუგებარია ოფიციალური თბილისის სახიფათო საიდუმლო თამაშები დაკავშირებული ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებასთან.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ფედერალური ძალებთან მებრძოლი მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების წევრების დიდი ნაწილი მოსკოვის გარდა ტერორისტთა საიში ოფიციალურად შეყვანილი ვაშინგტონსაც ჰყავს. აქედან გამომდინარე, ამ პირებთან თანამშრომლობა, თუნდაც საიდუმლოდ, არ იქნებოდა მომგებიანი საქართველოს სტრატეგიული ინტერესებისთვის.

*ირაკლი ალადაშვილი*

ლოპოტის ხეობისკენ მიმავალი გზა პოლიციას ჰქონდა გადაკეტილი

რუს მესაზღვრეთა დასახლება ახალგორის რაიონის სოფელ ბალაანში

# რუსი მესაზღვრეები ოკუპირებული ცხინვალის გარშემო

მაშინ, როცა ცივილიზებული ქვეყნები სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გამარტივებასა და ადამიანებს შორის ურთიერთობისთვის ხელშეწყობაზე ფიქრობენ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელოვნურად შექმნილი ე. წ. საზღვრების დაცვა-გამაგრებით არის დაკავებული.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოსთან მთელ პერიმეტრზე ახლა რუსი მესაზღვრეების საგუშაგოებით არის დაფარული.

საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებულ ქართულ-ოსურ მეგობრულ თუ ნათესაურ ურთიერთობაში გაჩნდა ახალი ტერმინები — საზღვარი, საშვი, ნებართვა, გადასვლა აკრძალულია და აკ., რითაც მოსკოს ორ ერს შორის გაუცხოების ელემენტების შემოტანა სურს.

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ცხინვალის რეგიონის მონაკვეთი კავკასიის ქედზე გადის და სიგრძით 74 კმ-ია.

რეგიონს რუსეთთან როკის გვირაბზე გამავალი ერთადერთი საავტომობილო გზა და რამდენიმე უღელტეხილი (კუდარო, ძედო, კოზი, ზეკარი, ბახფანდაგი, კუტხი, როკა, სბი და სხვ.) აკავშირებს.

დაახლოებით 350 კმ-ზეა გადაჭიმული ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოსთან. ამჟამად ამ საზღვრებზე ინტენსიურად მიმდინარეობს საოკუპაციო ჯარების მესაზღვრეებისთვის სამხედრო დასახლებების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სადამკვირვებლო პოსტებისა და სხვა საინჟინრო ობიექტების შენებლობა.

მიმდინარე წლის ბოლოს საზღვრის მთელი ინფრასტრუქტურის ფორმირება უნდა დასრულდეს. ასეთი დაკალება აქვთ მიღებული რუსეთიდან ჩამოყვანილ შშნებელებს.

ცხინვალის რეგიონში მესაზღვრეებისთვის აგებული და შშენებარე სამხედრო დასახლებები აფხაზეთში აშენებულის ანალოგიურია, ოუმცა, რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

დასახლებები სოფლებისგან განცალკევებით არის აშენებული და ბევრი მაოგანი ადმინისტრაციული საზღვრებიდან სულ რამდენიმე ასეული მეტრით თუ იქნება დაშორებული.

ყველა დასახლება რკინაბეტონის სქელი კედლებით არის დაცული, რომელიც თავის მხრივ ვიდეოდაკვირვების სისტემებითაა აღჭურვილი და დაკვირვებას დასახლების გარშემო დღისით, ღამით, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში უზრუნველყოფს.

სისტემა ინტეგრირებულია სასაზღვრო სამმართველოს ერთთან კომპლექსთან და მორიგეებს საშუალებას აძლევს დროის რეალურ რეჟიმში ამა თუ იმ დასახლების გარშემო შექმნილ მდგომარეობაზე სრული ინფორმაცია მიიღონ.

თავად დასახლებაში შედის არასაიდუმლო ობიექტები — საცხოვრებელი სახლები, სპორტული დარბაზი, საუნა, პირადი შემადგენლობის დასასვენებელი ოთახები, სპილიარდო, საათაშარ მოედნები და სხვ.

ოფიცერთა საცხოვრებელი ბინები კეთილმოწყობილია აუჯით, არის ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მიკროტალღოვანი ღუმელი...

ყველა დასახლებას საკუთარი ავტონომიური ელექტროკვებისა და წყლით მომარაგების სისტემები, გამასუფთავებელი ნაგებობები აქვს.

**სოფელ დმენისში რუს მესაზღვრეთა დასახლება და დასახლების ცენტრალური პულტი, საიდანაც პერიმეტრის გარშემო არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია აისახება**

დასახლების საიდუმლო ობიექტებს მიეკუთვნება, ცენტრალური საინფორმაციო, საკავშირო წერტილები, იარაღისა და საბრძოლო მასალების საცავი, თავშესაფარი და ა.შ.

პირველი სამხედრო დასახლებების შშენებლობა 2010 წლის დეკემბერში ზნაურის რაიონის სოფლებში, მუგუთსა და ძველეთში დასრულდა.

2011-12 წლებში მწყობრში შევიდა დასახლებები დაბა ზნაურსა და ზნაურის რაიონის სოფლებში ვახტანასა და ბალთაში; ცხინვალის რაიონის სოფლებში — დმენისი, დიდი ღრმი, დისევი, არცევი, ახალუბანი, აძვისთავი, კირბალი; ახალგორის რაიონის სოფლებში — ბალანი, ახმაჯი, ყანჩავეთი; ჯავის რაიონის სოფელ ქარძმანში და სხვ.

2012 წლის დეკემბერში ქალაქ ცხინვალში რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს კომპლექსის შშენებლობის დამთავრებით საქართველოსთან სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება.

როგორც რუსები ირწმუნებიან, საზღვრებზე დაყენებულია დაცვის თანამედროვე საშუალებები — ვიდეოკამერები, თბოვიზორები, ნიადაგის რყევაზე მორეაგირე და ინფრაწითელი გადამწოდები და ა.შ.

ამგვარად აღჭურვილ საზღვარზე მესაზღვრეთა ყოფნა ყოველთვის აუცილებელი არ არის, ხოლო ამ საშუალებათა დახმარებით კი ე. წ. საზღვრის დარღვევის პრევენცია და დამრღვევთა დროული დაკავებაც შესაძლებელია.

რუსების გამოგონილმა საზღვარმა და მისი გადაკვეთის წესებმა ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ე.წ. საზღვარმა გაყო სოფლის ბაღები, საძოვრები, სასაფლაოები... ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელი არცევი, რომლის მცხოვრებთა ერთი ნაწილი უცბად სხვა ქვეყნის მოქალაქე გახდა.

იმავე სიტუაციაშია სოფელი დვანი, სადაც დაყენებულია აბრები წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ და საზღვრის დამრღვევ გლეხებს ცახითა და ჯარიმებით ემუქრებიან.

სოფელ ერგნეთის სათესი მიწების დიდი ნაწილი ე.წ. საზღვრის იქითა მხარეს დარჩა. სოფელ ნიქოზის სასაფლაო შუაზე გაიყო და იქ რუსმა მესაზღვრეებმა თავიანთი სადამკვირვებლო პოსტი მოაწყვეს.

ფრონის ხეობის სოფლები კოდა და აბანო ტყეებისა და ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილის გარეშე დარჩა.

საზღვრის ე. წ. დამრღვევები, ძირითადად, ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობაა, რომელსაც ეს უცოდინარობით, გაუგებრობითაა თუ გზის აბნეულით მოსდის. რუსი მესაზღვრეები დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროებას გადასცემენ და როგორც საზღვრის დარღვევებს 2000-5000 რუბლით ავჯარიმებენ, ან შეიძლება რამდენიმეწლიანი პატიმრობაც კი მიუსაჯონ.

წელს საზღვრისპირა ტერიტორიებზე შემორჩენილ ნადმებსა თუ სხვა ფეთქებადსაშიშ საგნებზე მშვიდობიანი მოსახლეობის აფეთქების რამდენიმე შემთხვევაც დფიქსირდა.

ცხინვალის რეგიონში რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველო დაახლოებით 1100-1300 მესაზღვრეს ითვლის და ყველა მესაზღვრე კონტრაქტით მსახურობს.

ორგანიზაციულად სასაზღვრო სამმართველოს შემადგენლობაში შედის დმენისის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის (ახალგორის) სასაზღვრო განყოფილებები, რომლებიც თავის მხრივ 20 დასახლებულ პუნქტში განთავსებულ 15 სასაზღვრო საგუშაგოს აერთიანებენ.

მოსკოვში დაწერილ ე. წ. საზღვრის გადაკვეთის წესებს როცა მოგასალმებთ, თავად რუსი მესაზღვრეებიც არღვევენ. დუშეთის რაიონში ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ადდგომიდან მეშვიდე კვირას ლომისობის დღესასწაული აღინიშნება, რომელსაც ბოლო წლებია რუსი მესაზღვრეები იარაღის გარეშე ესწრებიან და შეთავაზებულ სასმელ-საჭმელზე უარს არ ამბობენ.

ცხინვალის რეგიონში რუსული სასაზღვრო სამმართველოს მონაცემებით, 2009 წლის მაისიდან 2011 წლის ნოემბრამდე ე.წ. საზღვრის დარღვევისთვის 490 კაცია დაკავებული და მათ შორის 292 — საქართველოს, ხოლო 130 ცხინვალის რეგიონის მცხოვრები იყო.

იმავე პერიოდში რუსი მესაზღვრეების ფხიზელ თვალს არ გამოეპარა, კონტრაბანდად ჩათვალეს და ე.წ. საზღვარზე დაკავეს 1229 კგ ატამი, 3500 კგ ხურმა, 3500კგ მწვანილი, 4500 კგ სხვადასხვა ხილი, 5000 კგ კომბოსტო და ა.შ.

ქართველი გლეხის „კონტრაბანდულ" კიტრთან, პომიდორთან, ატამსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან შედარებით ბევრად სერიოზული კონტრაბანდა იარაღისა და საბრძოლო მასალების სახით ცხინვალის რეგიონიდან როკის გვირაბის გაყოლით ჩრდილოეთისკენ მიედინება.

განვლილი ორმების შედეგად რეგიონში მრავლად შემორჩა ასეთი „სიკეთე". განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იარაღი ადგილობრივი მოსახლეობის ხელში 2008 წლის ომის შემდეგ აღმოჩნდა.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსი სამხედროები სასმელ-საჭმელზე ცელიდნენ ვაზნებსა და ავტომატებს, ხოლო ცხინვალის ხელისუფლების მიერ ე.წ. ომი მოლაშქრეებისთვის ჩამორიგებული აფუულობით ავტომატი, ყუმბარსატყორცნი, დიდძალი საბრძოლო მასალა უკან აღარ დაბრუნდა, დაკარგულად ჩაითვალა და ჩამოიწერა.

არასრული მონაცემებით, გასულ 2011 წელს ცხინვალის რეგიონიდან იარაღის ჩრდილოეთში გატანის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა და ამოღებულია ათამდე სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და რამდენიმე ასეული ვაზნა.

ცოტა ხნის წინ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა ვლადიმირ პრონიჩევმა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ომახიანად მოახსენა: „სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით საზღვრის სამხრეთ ოსეთის მიმართულებაზე საზღვრის დასაცავ ნაგებობათა მშენებლობა დასრულებულია და ახლა საინჟინრო კეთილმოწყობა მიმდინარეობს".

*თეძურ ჩაჩანიძე*

ასეთი ტრაფარეტი ქართული სოფლების მცხოვრებლებს ე.წ. საზღვრაზე მანძილს მიანიშნებს

სამარშრუტო ტაქსი „თბილისი-ახალგორი" ე.წ. საზღვრის გადაკვეთის შემდეგ „თბილისი-ლენინგორი" ხდება

# ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები სამხედროებს

საქართველოს ხელისუფლების წინასაარჩევნო ლოზუნგის „მეტი სარგებელი ხალხს“ ერთგვარ ინტერპრეტაციად იქცა ახალი წინადადებები, რაც სამხედრო მოსამსახურეებს შესთავაზეს.

ვაზიანში, მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაში სტუმრობისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს საუკეთესო პირსაქმეები დაუხატეს.

თავდაცვის ახალი მინისტრის, შაშკინის მიერ პრეზენტირებული 3T-ს პრინციპისგან (ტოტალური თავდაცვა, ტოტალური ტრენინგები და ტოტალური ზრუნვა) შეხვედრისას სწორედ ტოტალურ ზრუნვაზე გაამახვილეს ყურადღება.

პრემიერ-მინისტრ მერაბიშვილის თქმით, კონტრაქტზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების სადაზღვევო პაკეტი მკვეთრად გაუმჯობესდება, ხოლო წვევამდელები სრულ სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ.

მერაბიშვილის განცხადებით, თუკი სამხედრო მოსამსახურე 16 წელი იმსახურებს, მის შვილებს ბაკალავრიატს სრულად დაუფინანსებენ, ხოლო 20 წლის ნამსახურობის შემთხვევაში კი მაგისტრატურასაც. თავად სამხედროს 20-წლიანი სამსახურის ბოლოს პრემიის სახით ერთი წლის სრულ ხელფასს გადასცემენ.

თავის მხრივ, შაშკინმა დასძინა, რომ მალე 800-ზე მეტი სამხედროს ოჯახი ო�თახიან ბინას მიიღებს.

ეს და სხვა დაპირებები მართლაც რომ შთამბეჭდავია, განსაკუთრებით კონტრაქტით მომსახურე სამხედროებისთვის, რამაც მათ წესით, მეტი მოტივაცია უნდა მისცეს, თუმცა, საკონტრაქტო სამსახურის გაგრძელების მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად მაინც მცირდება.

ოთხწლიან საკონტრაქტო სამსახურის ვადის გავლის შემდეგ უფრო მეტ სამხედროს ალარ სურს კონტრაქტის გაგრძელება. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი, ეტყობა, მაინც ის არის, რომ მათ გული აუცრუდათ სამხედრო სამსახურზე.

ოფიცერთა ერთ ნაწილს ეეჭვება, რომ 10-15 წელი იმსახურებს, არათუ 20-ს; იციან, ბევრი ოფიცერი შეიარაღებული ძალებიდან უმიზეზოდ დათხოვეს, ზოგს დამსახურებულ პენსიამდე ორი-სამი თვე თუ აკლდა.

ოფიცრისთვის კარიერული წინსვლა ბოლო წლებში ძალზე განელდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004-დან 2012 წლამდე, რეა თავდაცვის მინისტრი შეიცვალა. ყოველ მათგანს თავისი გუნდი მოჰყავდა და იმ ახალგაზრდა ოფიცრებს, რომლებიც არც ერთ გუნდში არ შედიოდნენ, მაგრამ ღირსეულად სურდათ სამსახური, წინსვლის შანსი არ რჩებოდათ. ამასთან, დაწინაურდნენ ის ოფიცრები, რომელთა ნაწილმა 2008 წლის აგვისტოს ომში თავი არათუ გამოიჩინა, არამედ შეირცხვინა, მაგრამ სამაგიეროდ ხელისუფლებასთან დაახლოებული გუნდის წევრი იყო.

სამხედროებისთვის მიცემულ დაპირებებს წინასაარჩევნო პიარის სუნი ასდის, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მონაწილე ვეტერანების მიმართ, რომელთაც ზოგიერთ სახელისუფლებო სტრუქტურაში „შეკვრდნაძის ვეტერანებსაც“ ეძახიან...

P.S. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაახმაურა, ხოლო შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაკეთა — სტუდენტებმა, რომლებმაც 2012-2012 სასწავლო წლებისთვის ჩაბარეს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და ვერ (ან ნაწილობრივ) მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, შეუძლიათ ითრმეტი თვე გაიარონ საფალდებულო სამხედრო სამსახური შეიარაღებულ ძალებში, რის შემდგომ სახელმწიფო მათ ბაკალავრიატს დაუფინანსებს. მართლაც საინტერესო დაპირებაა, მაგრამ ერთი წლით გადადებული სწავლა ხომ არ შეაფერხებს ახალგაზრდების განათლებას? საქმე ის არის, რომ აბიტურიენტობის პერიოდში მათ მიიღეს განსაზღვრული ცოდნა, რომელიც ის ბაზისია, რომელზეც შემდგომში უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა აიგოს, „ჯაბარიანმა გატარებული ერთწლიანი შესვენების შემდეგ კი ახალგაზრდას ისიც დავიწყებული ექნება, რისი სწავლაც სკოლასა და აბიტურიენტობის დროს მოასწრო.

*ირაკლი ალადაშვილი*

# რუსული დივიზია შავი ზღვიდან საქართველოსკენ

17-დან 23 სექტემბრის ჩათვლით რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო წვრთნა Кавказ-2012 გაიმართება.

ამ წვრთნების თაობაზე დიდი პოლიტიკური დებატები მიმდინარეობს, რადგან ის საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ახლოს გაიმართება. თუკი პარალელს გავუკეთებთ Кавказ-2008-თან, იმ დროს მობილიზებული საბრძოლო დანაყოფები შემდგომ მოსკოვმა საქართველოსთან ომში გამოიყენა.

ამიტომაც არსებობს საშიშროება, რათა არ გამეორდეს ისტორია და Кавказ-2012-იც არ გადაიქცეს საქართველოში რუსული სამხედრო აგრესიის გაგრძელებად.

სხვათა შორის, რუსეთის ზოგიერთმა სამხედრო მალალჩინოსანმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ Кавказ-2012-ის წვრთნებიდან გამოიარეცხა მე-7 (აფხაზეთი) და მე-4 (ცხინვალის) საოკუპაციო რუსული ბაზები, ასევე 102-ე გუარდის სამხედრო ბაზა სომხეთში, რათა ოფიციალურმა თბილისმა ბრალდებები კვლავ არ წაუყენოს რუსეთსი. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, მცირდება საფრთხის დონე. თუმცა, კოთხვები მაინც რჩება.

შეშფოთების საფუძველს იძლევა ერთი რამ, — კერძოდ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაჩქარებული ტემპით დაიწყო მე-7 სამთო-სადესანტო მოიერიშე დივიზიის გადასროლა შავი ზღვისპირა ქალაქ ნოვოროსიისკიდან დაღესტანში Кавказ-2012-ში მონაწილეობის.

247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის არტილერისტები კოდორის ხეობას ბომბავდნენ

## Кавказ-2012-ის ფარგლებში ნოვოროსიისკიდან დაღესტანში ეროსკოვა მე-7 სამთო სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა საქართველოს საზღვრის ახლოს დაჩქარებული გემებით გადმოიყვანა

ეს დივიზია უნიკალურია რუსეთის არმიაში. საბჭოთა დროს, როდესაც ის ლენინგორადი ქალაქ კაუნასში იყო დისლოცირებული, დიდ როლს ასრულებდა. სწორედ ამ დივიზიის დანაყოფები ცდიდნენ ექსპერიმენტულ პარაშუტებსა თუ მედესანტეთა საბრძოლო მანევრებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ეს დივიზია ნოვოროსიისკში გადაიყვანეს. მისი საბრძოლო დანაყოფები ჩეჩნეთის ორივე ომში მონაწილეობდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ დივიზიის შემადგენლობაში შედის 247-ე კაკასიური კაზაკური სადესანტო-მოიერიშე პოლკი, რომელიც 1998 წელს შეიქმნა საქართველოდან, კერძოდ ქ. ქუთაისიდან 1993 წლის გაყვანილი 21-ე ცალკეული საპაერო-სადესანტო ბრიგადის ბაზაზე. 247-ე პოლკი აქტიურად მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოში ომში, დასავლეთ საქართველოსა და კოდორის ხეობაში.

რუსული მასმედიის ინფორმაციით, ნოვოროსიისკიდან დაღესტანში მე-7 სამთო სადესანტო-მოიერიშე დივიზიის თითქმის მთელი პირადი შემადგენლობის (6 ათასს კაცამდე) და საბრძოლო ტექნიკის გადასროლა მიმდინარეობს.

სიტყვა „სამთო" დივიზიის დასახელებაში კი იმას ნიშნავს, რომ დივიზიის დანაყოფები მთაგორიან რელიეფზე საბრძოლო მოქმედების წარმოების ნიუანსებს ფლობენ. 2 ათას მეტრ სიმაღლემდე მთებში მთელ დივიზიას შეუძლია საბრძოლო მოქმედებების წარმოება, 3 ათას მეტრამდე სიმაღლეზე მხოლოდ ზოგიერთ ბატალიონს, ხოლო უფრო მაღლა ამ დივიზიის სპეციალურად მომზადებული ალპინისტი მზვერავები თუ მოქმედებენ.

დაღესტნიდან კახეთში გადმოსასვლელი ყაღორის უღელტეხილის სიმაღლე 2363 მ-ია. მართალია, იქ მძიმე ტექნიკას გაუჭირდება გადმოსვლა, მაგრამ კიდევ ერთი თვის განმავლობაში ამ უღელტეხილის გადმოლახვა დაღესტანში შეყვანილი მე-7, სამთო-სადესანტო მოიერიშე დივიზიის დანაყოფების პირად შემადგენლობას (რომელსაც სპეციალური სამთო მოშზადება აქვს გაკეთილი) არ უნდა გაუჭირდეს.

ასე რომ, მოგვიწევს დაველოდოთ, როდის ჩამოთოვს ყაღორის უღელტეხილზე, რათა დაღესტნის მიმართულებიდან უსაფრთხოდ ვიგრძნოთ თავი.

**ირაკლი ალადაშვილი**

ნოეორსიოსკში სწავლების გახსნაზე საქართველოს მხოლოდ ხუთეკვრიანი დროშა წარმოადგენდა

# BLACKSEAFOR-ი საქართველოს გარეშე

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს საღამოს თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზა გიოლჯუკში (მარმარილოს ზღვა) საზეიმო ცერემონიალი შედგა, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენელმა, I რანგის კაპიტანმა იური ზემსკიმ შავი ზღვის ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის (BLACKSEAFOR) უფლებამოსილება თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელს, I რანგის კაპიტან ხაკან გიუნეშს გადასცა.

თურქმა საზღვაო ოფიცერმა რუსი კოლეგისგან ასევე მიიღო მახვილი, რომელიც 2003 წელს ბულგარელმა ოსტატებმა სპეციალურად შავიზღვისპირა ქვეყნების ამ საერთაშორისო შეიარაღების სარდლისთვის დაამზადეს.

წლევანდელ ბოლო აქტივაციაში მონაწილეობდნენ: თურქული სარაკეტო კორვეტი F-511 Heybeliada, უკრაინული მართვის ხომალდი U-510 Slavutich-ი, რუსული დიდი სადესანტო ხომალდი 142 Novocherkassk-ი, რუმინული კორვეტი F-265 Contraamiral Horia Macellariu და ბულგარული მტრალავი ხომალდი 62 Shkval-ი.

გიულჯუკიდან გამოსულმა ხომალდებმა გზაში რამდენიმე მეცადინეობა ჩაატარეს და 13 აგვისტოს ტრაპიზონში შეკიდნენ, სადაც საწვავისა და პროვიანტის მარაგი შეივსეს.

მომდევნო, რამდენიმედღიანი ეტაპი დაეთმო ტაქტიკური მანევრების სრულყოფას, ზღვაში ყოფნისას მარაგის შევსების ტექნიკის დამუშავებას, ზღვაში ადამიანის ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს, პატარა ზომის წყალზედა სამიზნეთა თავდასხმის მოგერიებას, საჯაჭრო გემების ცურვის კაკონტროლებასა და სხვა ამოცანებს.

20-24 აგვისტოს დასკვნით ეტაპზე

2004 წლის 5 აგვისტო — ბათუმის პორტში მყოფი BLACKSEAFOR-ის ხომალდები

ოპერატიული ჯგუფი პორტ ნოვოროსიისკში იმყოფებოდა, სადაც ოთხი ქვეყნის ოფიცრებს შავი ზღვის ფლოტის სწყლება Доверие-2012-ისთვის თვალის მიდევნების საშუალება მიეცათ.

24 აგვისტოს აქტივაცია დასრულდა და დღის მეორე ნახევარში ხომალდებმა კურსი ბაზრების პუნქტებისკენ აიღეს.

ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის მორიგი აქტივაცია 2013 წლის აპრილისთვის არის დაგეგმილი.

თურქეთის ინიციატივით შექმნილი ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფი არსებობას 2001 წლის 2 აპრილიდან იწყებს, როცა „სტამბოლში შავი ზღვისპირა ქვეყნების — ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის წარმომადგენლებმა შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

ხაზღვაო თანამშრომლობის ეს ფორმა სხვადასხვა საბრძოლო ამოცანის შესრულებასთან ერთად შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო მეზღვაურობის დაახლოებაზეც არის გათვლილი.

საქართველოს ახალგაზრდა ფლოტისა და მისი ოფიცრებისთვის საბრძოლო გამოცდილების მიღების მხრივ BLACKSEAFOR-ის აქტივაციებში მონაწილეობა ყოველმხრივ მისაღები იყო, თუმცა, 2008 წლის რუსულმა აგრესიამ ბევრი რამ შეცვალა.

2004 წლის 5 აგვისტოს ბაიუმში BLACKSEAFOR-ის მორიგი აქტივაციის დროს ვიმყოფებოდი. მაშინ ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის სარდალი, საქართველოს წარმომადგენელი, I რანგის კაპიტანი გენადი ჰაიდაროვი იყო, ხოლო ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებს სარაკეტო კლასის კატარღა „დიოსკურია“ წარმოადგენდა.

ბაიუმის პორტის გემსადგომთან შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდი „ცეზარ კუნიკოვი“ მარცხენა ბორტით იდგა, ხოლო რუსული ხომალდის მარჯვენა ბორტთან — უკრაინული საშუალო სადესანტო ხომალდი „ჯოროვიჩადი“.

უკრაინულ ხომალდზე მოხვედრა მხოლოდ „კუნიკოვის“ გავლით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამისათვის ხომალდის რუნი მეთაურის ნებართვა იყო საჭირო.

კარგა ხანს მომწია ტრაპთან ლოდინმა და ამასობაში იქ მდგომ რუს ოფიცერს გავესაუბრე, რომელიც 1993 წლის სექტემბრის აფხაზეთის ტრაგედიის მომსწრე აღმოჩნდა. მას ძალიან უჭირდა იმ დღეების გახსენება და ბოლოს ისიც დასძინა, რომ ომსა და მსგავსი მოვლენების გამეორებას არასოდეს ისურვებდა.

მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ 4 წლის შემდეგ საქართველოსთან დაწყებულ ომში შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდი „ცეზარ კუნიკოვი“ იქნებოდა ჩაბმული და იჩამჩირეში რუს პარაშუტისტებსაც ჩამოიყვანდა.

წლევანდელ აქტივაციაში საქართველოც იყო მიწვეული, მაგრამ ობიექტურ მიზეზთა გამო მიწვევაზე უარი განაცხადა, თუმცა, საქართველოს დროშა ნოვოროსიისკში გამართულ პრესკონფერენციაზე მაინც გამოჩნდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

BLACKSEAFOR-ის 2012 წლის ზაფხულის აქტივაციის ყველაზე საინტერესო მხარედ მასში უახლესი თურქული სარაკეტო კორვეტის F-511 Heybeliada-ს მონაწილეობა უნდა ჩაითვალოს. ხომალდის დანიშნულებაში შედის: საპაერო სამიზნეების აღრეული აღმოჩენა-იდენტიფიცირება და თანხლება, წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, დაზვერვა, ესკორტირება, პორტებისა და სადგომების დაცვა, წარმომადგენლობითი მოვალეობის შესრულება და სხვ.

კორვეტი შეიარაღებულია: 8 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა „პარპუნით“, 21 საზენიტო რაკეტა RAM-ით, 324 მმ-იანი 2X3 სატორპედო აპარატი წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ტორპედოებით, ერთი 76 მმ-იანი ქვემეხით, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით, ერთი შვეულმფრენით ან უპილოტო საფრენი აპარატებით.

ბულგარელი ოსტატების დამზადებული მახვილი თურქმა ოფიცერმა რუსი კოლეგისგან ჩაიბარა

# MSPO-2012

ფოტოზე ცენტრში — პოლონური წარმოების 155 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Krab-ი. ის ბრიტანული ანალოგიური კალიბრის მქონე თვითმავალი AS-90M-ის ლიცენზირებული ვარიანტია. ბრიტანულ კოშკურას პოლონეთში დამზადებულ კორპუსზე აყენებენ, ძრავა და სავალი ნაწილი კი პოლონური ტანკიდან PT-91-დან (T-72-ის ლიცენზირებული ვარიანტი) არის აღებული. ეკიპაჟი ორკაციანია. ამჟამად სამი პროტოტიპია აწყობილი, იგეგმება კიდევ 72 ერთეულის აწყობა.

მიმდინარე წლის 3-6 სექტემბერს პოლონეთის ქალაქში კელცში შეიარაღებისა და თავდაცვითი მრეწველობის მორიგი საერთაშორისო გამოფენა MSPO-ს უმასპინძლა. გამოფენა რეგულარულად ტარდება და მასში მსოფლიოში შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი წამყვანი კომპანიები მონაწილეობენ.

რა თქმა უნდა, მასპინძელი ქვეყანა — პოლონეთი გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების რაოდენობით პირველ ადგილზე იყო.

**პოლონურ ექსპონატებში განსაკუთრებული ყურადღება ერთმა გარემოებამ დაიმსახურა, — ქვეყანა NATO-ს წევრია 1999 წლიდან, თუმცა, მის შეიარაღებაში საბჭოური ტექნიკა დღემდე ჭარბობს.**

**პოლონეთის ცას დღესაც საბჭოური „კრაზანები“, „აკუბები“ და „შილკები“ იცავენ. მის სატანკო პარკის უმეტესი ნაწილი — 600-მდე ტანკი საბჭოური წარმოების T-72-ია. გასაკვირია, მაგრამ პოლონეთის არმიის შეიარაღებაში დღემდე რჩება БРДМ-2-ის ტიპის სადაზვერვო ჯავშანმანქანები.**

თანამედროვე ტექნიკის წარმოებაში პოლონეთი ევროპის სხვა სახელმწიფოებს არაფრით ჩამორჩება. უახლოეს წლებში პოლონეთის განკარგულებაში არსებული Rosomak-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორთა (თვლების ფორმულა 8x8) რიცხვი 690-ს მიაღწევს. აქედან 313 ერთეულს 30 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი კოშკურა აქვს. დანარჩენ 377-ს კი სხვადასხვა ვარიანტად გამოიყენებენ.

წლევანდელ MSPO-ზე პოლონელებმა Rosomak-ის რამდენიმე ახალი ვარიანტი წარმოადგინეს. მათ შორისაა „გრომის“ ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებითა და Spike-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით შეიარაღებული მოდიფიკაცია. ორივე ტიპის რაკეტა (ოთხ-ოთხი ერთეულის ოდენობით) ერთიან დისტანციურ მოდულშია მოთავსებული. ამავე მოდულს აქვს დამიზნების სისტემები. სხვათა შორის, ებრაული Spike-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს პოლონეთი ისრაელისგან შეძენილი ლიცენზიით ამზადებს. თავად Rosomak-ი კი ფინური Patria-ს ტიპის ჯავშანტრანსპორტიორის ლიცენზირებული ასლია.

გამოფენაზე წარმოდგენილი „როსომაკის“ კიდევ ერთი ახალი მოდიფიკაცია — 105 მმ-იანი ქვემეხით შეიარაღებული საცეცხლე მხარდაჭერის მანქანა Wilk-ია (პოლონურად „მგელი“). სხვა მოდელების მსგავსად მისი თვლების ფორმულაა 8x8.

ჯავშანტექნიკის სფეროში წლევანდელ გამოფენაზე ნაჩვენები იყო კიდევ ერთი პოლონური საახლე — ჯავშანტრანსპორტიორი Hipopotam-ი თვლების ფორმულით 8x8. მასზე კომპანია AMZ მუშაობს, რომელიც „ზებრის“ ტიპის ჯავშანმანქანის შექმნითაა ცნობილი.

ჯერჯერობით ახალი ჯაჯშანტრანსპორტიორის მხოლოდ ერთი პროტოტიპი არსებობს, რომელიც ინტენსიურ გამოცდას გადის. მას მოდულური კონსტრუქცია აქვს და დაცვის დონის რეგულირება გარე ფენის ჯაჯშანფილების სისქის ცვლილების ხარჯზე წარმოებს.

„ჰიპოპოტამს“ უკანასკნელ წლებში შექმნილი ჯაჯშანტრანსპორტიორებისთვის დამახასიათებელი კლასიკური სქემა აქვს.

„ჰიპოში“ დესანტის ჩასხდომა უკანა გადმოსახსნელი აპარალიდან ხდება. მძღოლისა და მეთაურისთვის კი წინა ნაწილში ჭერში ორი ლიუკია გაკეთებული. დიდი წონის მიუხედავად (32 ტ-მდე), მანქანა დაცურავს და წყალში მოძრაობას ორი წყალსატყორცნი უზრუნველყოფს.

წლეულდელ გამოფენაზე წარმოდგენილი კიდევ ერთი საახლე იტალიელებს ეკუთვნით. მისი პირველი საჯარო ჩვენება შარშან, 2 ივნისს რომში გამართულ სამხედრო აღლუმზე შედგა. თუმცა, ტექნიკის ამ წარმომადგენლის შესახებ არც ისე ბევრი ინფორმაცია მოიპოვება. მაშინ აღლუმზე Porcupine-ს ტიპის თვითმავალი ჰაუბიცის ორი პროტოტიპის დემონსტრირება მოხდა. მეორენაირად მას Centauro 155/39 LW-საც უწოდებენ.

155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა კომპანია OTO Melara-ს ქმნილებაა. აზად კარგად გამოცდილი იტალიური თვლიანი ტანკი (ფორმულა 8x8) Centauro შეირჩა.

იტალიის არმიის დაკვეთით OTO Melara თვითმავალი ჰაუბიცის შექმნას მანამდეც ცდილობდა. 155 მმ-იანი საველე ჰაუბიცა FH-70 იმავე „კენტავრის“ შასიზე დამონტაჟდა და ჰიბრიდს

**საბჭოური ტექნიკის სრულყოფა-მოდერნიზაციასთან ერთად პოლონეთი აქტიურად ახალი ნიმუშების შექმნაზეც მუშაობს. ახალი პოლონური ჯაჯშანტრანსპორტიორი Hipopotam-ი**

**105 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი საცეცხლე მხარდაჭერის მანქანა Wilk-ი. ბოლო დროს მსგავსი ტექნიკა სულ უფრო პოპულარული ხდება**

Pegaso დაერქვა. დანადგარმა გამოცდა გაიარა, მაგრამ იტალიური არმიის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება ვერ შეძლო და შემცირებული დაფინანსების გამო ერთადერთ ეგზემპლარად დარჩა.

თანდათანობით „კენტავრით“ დაინტერესება გაიზარდა და 155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცის შექმნის საკითხს აქტუალურობა დაუბრუნდა.

ახალ ნიმუშზე ჰაუბიცა მთლიანად დახურულ და საკმაოდ ორიგინალურ დაჯაჯშნულ კოშკურაშია დაყენებული. საინტერესო ის არის, რომ Centauro 155/39 LW-ის ეკიპაჟი მხოლოდ ორი კაცისგან შედგება. ცეცხლის მართვა, დამიზნება და გადატენა დისტანციურად ხდება. თუმცა, ჭურვების რაოდენობის მიხედვით დანადგარი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მისი საბრძოლო კომპლექტი მხოლოდ 15 ცალით შემოიფარგლება. ეს კი ცოტაა.

მაგალითად, შვედური წარმოების 155 მმ-იან თვითმავალ Archer-ს თუ ავიღებთ, მისი საბრძოლო კომპლექტი 40 ჭურვია.

არსებული ცნობით, ორივე პროტოტიპი სხვადასხვა გამოცდას გადის, თუმცა, რა ბედი ეწევა პროექტს, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲤᲐᲫᲘᲫᲔ**

**155 მმ-იანი იტალიური თვითმავალი ჰაუბიცა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების

**აგვისტოს ბოლო დღეებში აზერბაიჯანის არმიამ სხვადასხვა მიზეზით რამდენიმე სამხედრო დაკარგა**

## აზერბაიჯანი

● 28 აგვისტოს ფრონტისპირა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ორ ჯარისკაცს შორის კამათი ჩხუბში გადაიზარდა და ერთ-ერთმა დანით მეორეს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

● 29 აგვისტოს ფრონტის ტერტერის მონაკვეთზე ცეცხლის შწყვეტის რეჟიმის დარღვევას აზერბაიჯანის არმიის პრაპორშიკი ემსხვერპლა.

● 30 აგვისტოს ფრონტის ფიზულის მონაკვეთზე იმავე მიზეზის გამო დაიჭრა აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცი.

● 30 აგვისტოს ფიზულის რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევაში აზერბაიჯანის არმიის ორი პრაპორშიკი დაიღუპა.

● 30-31 აგვისტოს საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ორგანოების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა შედგა, რომელიც თანამშრომლობის გაღრმავებისკენ იყო მიმართული. მასში ასევე მონაწილეობდნენ მიგრაციული პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ლატვიელი ექსპერტები.

● 31 აგვისტოს აღდამის გარნიზონში გაუფრთხილებლობის გამო ერთმა ჯარისკაცმა მეორე მოკლა.

● 1-ელ სექტემბერს აღდამის რაიონში ცეცხლის შწყვეტის რეჟიმის დარღვევის შედეგად მძიმედ დაიჭრა აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცი.

## სომხეთი

● პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა 6 სექტემბერს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი არშალუს პაიტიანი.

● 6 სექტემბერს საშობლოში დაბრუნდა სომეხ შშვიდობისმყოფელთა ჯგუფი, რომელმაც კოსოვოს საშვიდობო მისიაში მონაწილეობამდე მომზადება გერმანიაში გაიარა.

● 6-8 სექტემბერს სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებში „ალაგიოზსა“ და „კამპუტზე“ რუსული სამხედრო ბაზის მოტომსროლელმა და სატანკო ქვედანაყოფებმა სწავლება ჩაატარეს. დამუშავდა ამოცანები: სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების თავდასხმის მოგერიება, გბატონებული სიმაღლის დაკავება-შენარჩუნება, საავიაციო შეტევის მოგერიება და სხვ. სწავლებაში მონაწილეობდა 1000 სამხედრო და შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის 300 ერთეული — БМП-1, БМП-2, Т-72Б, 2С1 Гвоздика, БМ-21 Град-ი და სხვ.

● 3 სექტემბერს რუსული 102-ე ბაზის 100-მდე სამხედრო მოსამსახურე და ჯავშან და სპეციტექნიკის 30-მდე ერთეული რკინიგზით გაიგზავნა „მარშალ ბაგრამიანის“ სახელობის პოლიგონზე, სადაც ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების სწავლება „ურთიერთქმედება 2012“ უნდა ჩატარდეს.

● სწავლება „ურთიერთქმედება 2012“ 3-8 სექტემბრის ნაცვლად 15-19 სექტემბერს ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებს ბელორუსიის, რუსეთის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სპეციალური და ოპერატიული დანიშნულების ქვედანაყოფები, საერთო რაოდენობით დაახლოებით 2 ათასი კაცი.

**სომხეთის პოლიგონებზე რუსული 102-ე ბაზის სამხედროები ინტენსიურად ვარჯიშობენ**

# მიმოხილვა

სპპარატისტული აფხაზეთის აეროკოის შექმნა სასოფლო-სამეურნეო Ан-2-ით დაიწყო

## ჩრდილო კავკასია

● ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ახალი ჯავშანავტომობილის Булат-ის გამოცდა, რომელიც КамАЗ-ის Мустанг-ის საჯალ ნაწილზეა აწყობილი და 10-12 კაცის გადაყვანაზეა გათვლილი.

● 28 აგვისტოს დაღესტანში დერბენთის რაიონის დასახლება ბელიჯის მახლობლად კონტრაქტით მომსახურე მესაზღვრემ ჯერ ორი თანამებრძოლი მოკლა, შემდგ ცეცხლი გაუხსნა ალოალ პოლიციელთა სწრაფი რეაგირების სპეციალური რაზმის წევრებს და ხუთი მათგანნ მოკლა, რამდენიმე დაჭრა. საპასუხო ცეცხლით მესაზღვრე, გვარად ალიევი, ადგილზე განადგურდა.

● 27 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ჩრდილო კავკასიაში 29 კაცი დაიღუპა და 21 დაიჭრა. დაღუპულებიდან 10 მართლწესრიგისა და სხვა ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენელია, 8 მშვიდობიანი მოსახლეა და 11 კი შეიარაღებული წინააღმდეგობის მებრძოლად ითვლება.

● რუსეთის თავდაცვის სამინისტრო განიხილავს ჩრდილო კავკასიაში კონტრტერორისტულ ოპერაციებში არმიული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხს, რაც გამოწვეულია ბოლო დროს სამართალდამცველთა და შინაგანი ჯარის დანაკარგის ზრდით.

● 22-24 აგვისტოს ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურის I რანგის კაპიტან სერგეი პინწუკის ხელმძღვანელობით ჩატარდა სამხედრო-საზღვაო სწავლება „ნდობა 2012“. სწავლებაში მონაწილეობდა 7 საბრძოლო ხომალდი და დამხმარე გემი, შეიულმფრენი და 300-ზე მეზღვაური. დამუშავდა ტერორისტების გემის აღმოჩენისა და დაკავების ოპერაცია.

● აგვისტოში ნოვოროსიისკის პორტში ჩამოვიდა იტალიური წარმოების საცდელი ტექნიკის მეორე პარტია: 120 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ტანკსაწინააღმდეგო მძიმე ჯავშანავტომობილი Centauro და ბორბლებიანი მძიმე ჯავშანტრანსპორტიორი Freccia. იტალიური ტექნიკის პირველი პარტია 105 მმ-იანი და 125 მმ-იანი ქვემეხებით აღჭურვილი Centauro-ებისგან შედგებოდა. ტექნიკის გამოცდა სექტემბერში მოსკოვის მახლობლად ერთ-ერთ პოლიგონზე დაიწყება და 6 თვეს გასტანს.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზას გადაეცა 1000 სამხედროს მომსახურებაზე გათვლილი სასადილო. უფრო ადრე დასრულდა 9 ეაზარმა, ოფიცერთა სასტუმრო 40 ბინით, 6 კოტეჯი სამეთაურო შემადგენლობისთვის, შტაბის შენობა, აბანო-სარეცხაო კომპლექსი და ა.შ.

● სამობილიზაციო-საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად 28-30 აგვისტოს სპპარატისტთა არმიის „აღმოსავლეთის“ ოპერატიული მიმართულების სამეთაურო-საშტაბო წვრთნა ჩატარდა. წვრთნებში მონაწილეობდა „აღმოსავლეთის“ მიმართულების შტაბი და მმართველობა, მე-2 ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი, ირამჩირისა და ტყვარჩელის რაიონის კომისარიატები.

● 27 აგვისტოს აღინიშნა სპპარატისტთა სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის მე-20 წელი. ამ დღეს 20 წლის წინ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში წინასწარ მომზადებულ მოედანზე ჩეჩნეთიდან ორი თვითმფრინავი Ан-2 ჩამოფრინდა. ერთ-ერთს მართავდა ვიაჩესლავ ეშბა, რომელიც შემდგომ საჰაერო ძალების პირველი სარდალი გახდა.

● საოკუპაციო ჯარების მესაზღვრეებმა აგვისტოში საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად აღმოაჩინეს იარაღის 4 სამალავი, სადაც აღმოჩნდა: ერთი ყუმბარსატყორცნი СПГ-9 და მისი 4 გასროლი, ყუმბარსატყორცნი РПГ-7-ის 31 გასროლი, 3 ერთეული დენთის მუხტი, 120 მმ-იანი საარტილერიო ჭურვი. საბრძოლო მასალები განადგურდა.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 4 სექტემბერს საოკუპაციო ჯარების მესაზღვრეებმა ზნაურის რაიონის სოფელ ბალთაში კინოლოგთა შეჯიბრება ჩაატარეს. გამარჯვებული გახდა დაბა ზნაურის სასაზღვრო საგუშაგო. მომდევნო ადგილები გაინაწილეს დმენისისა და ჯავის საგუშაგოებმა.

*თეიმურ ჩანანიძე*

ნოვოროსიისკის პორტში საცდელად იტალიური ჯავშანტექნიკა ჩაიტანეს

# ვისი ჯაშუშები მოქმედებენ ვატიკანში?

**საქართველოში, ჯერჯერობით ეს ლოპოტის ხეობაში განვითარებული მოვლენების ფონზე მეითხვევა შეიძლება ეითხვა გაუჩნდეს: რა დროს ვატიკანში მოქმედი ჯაშუშებია, როდესაც აქ, ყურისძირში, სპეცოპერაცია ჩატარდა და ხალხი დაიოუპაო?**

**ლოფანყურის გასაიდუმლოებული ოპერაციის შესახებ ინფორმაცია თანდათან ზუსტდება, იკვეთება ახალი ფაქტები, რომლებიც ღრმა ანალიზს მოითხოვს, ამიტომ ამ სპეცოპერაციის დეტალებს აუცილებლად დავუბრუნდებით.**

**ამჟამად ეი გვსურს მეითხვევს იმ რთული და საინტერესო მოვლენების შესახებ მოვუთხროთ, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტში – ვატიკანში ვითარდება.**

**მრავალი ქვეყნის სპეცსამსახური ცდილობს ოპერატიულ-აგენტურული მეთოდებით დროული და სრული ინფორმაცია მიიღოს მსოფლიოს ყველაზე ჰატარა სახელმწიფოსგან.**

**თავად ვატიკანიც საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებს, მათ შორის საქართველოშიც, ამიტომ იქ მიმდინარე პროცესები ძალზე ყურადსაღებია ჩვენთვის.**

## ვინ მოიპარა ვატიკანის საიდუმლო დოკუმენტები?

მიმდინარე წლის 30 მაისს კათოლიკური ეკლესიის საეფთმეფრობელმა, რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მ განცხადა, რომ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია ვატიკანში მიმდინარე პროცესებზე სამართლეს არ შეეფერება. „გული მტკივა, ამას რომ ვკითხულობ“, – განაცხადა 85 წლის პაპმა.

საინტერესოა, რა გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ძალაუფლების მქონე პირის დამწუხრების მიზეზი?

2012 წელი ვატიკანისთვის საინდალით დაიწყო, რომელიც უფრო და უფრო იხრდება და სულ ახალ-ახალი მასალა ამეეჭდება ვატიკანში მიმდინარე, ფლემდე გულმოდგინედ დაფარულ პროცესებზე.

ჯერ იტალიურ პრესასა და ელექტრონულ მედიაში, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან საინფორმაციო საშუალებაში დაიბეჭდა რომის პაპის პირადი კანცელარიის საიდუმლო დოკუმენტები, მათ შორის — პონტიფიკის პირადი წერილები.

აპრილში პაპის გადაწყვეტილებით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც უნდა გამოიძიოს საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის გზები და დადგინოს ის პირები, რომელთაც ღოკუმენტები მოიპარეს.

ინტრიგას აძლიერებს ისიც, რომ ჯერ უცნობია, ვინ დგას ამ მოვლენების უკან: ვატიკანის ურთიერთდაპირისპირებული კარდინალები თუ რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურები?

რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის კათოლიკური ეკლესია და ვატიკანი, ყოველთვის იყვნენ და იქნებიან სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მუდმივი ოპერატიული დამუშავების ობიექტები.

მკითხველს რამდენიმე ამგვარ ფაქტზე ქვემოთ მოვუთხრობთ.

## იოანე-პავლე I-ის გარდაცვალების საიდუმლო

სამი ათეული წლის წინ ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა იოანე-პავლე I, რომელიც სულ რაღაც 33 დღის არჩეული იყო პონტიფიკად. ვენეციის კარდინალი ალბინო ლუჩანი 1978 წლის 25 აგვისტოს აირჩიეს.

ხოლო 33 დღის შემდეგ 66 წლის პაპი გარდაცვლილი იპოვეს საძინებელში. რაღაც მაგიური ციფრებია!

ექიმების დიაგნოზი – გულის ინფარქტი იმდენად პრობაული იყო, რომ არავის სჯეროდა. დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ შედარებით ახალგაზრდა რომის პაპი შეთქმულების მსხვერპლი გახდა და მოწამლეს.

ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს პოსტზე არჩევის შემდეგ ის მალევე შეამოწმეს ექიმებმა და მისი ასაკისთვის სრულიად ჯანმრთელად მიიჩნიეს.

საბედისწერო მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: 1978 წლის 29 სექტემბერს დილით პაპმა ჩვეულებისამებრ არ იხმო მოახლე და არც თავად გამოვიდა ყავის დასალევად, მაგრამ მისი შეწუხება მაინც ვერავინ გაბედა.

მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეკიდნენ მოახლეები და იოანე-პაველ I საწოლში გარდაცვლილი იპოვეს. ლოგინში წამოჯდარიყო, სათვალე ეკეთა და ხელში რაღაც ჩანაწერები შერჩენოდა.

სასწრაფოდ შეატყობინეს პაპის მდივან მაჯისა და კარდინალ ჟან ვიოს. სწორედ ამის შემდეგ იწყება საეჭვო მოვლენები – კარდინალმა ექიმები კი არ გამოიძახა, არამედ ვატიკანის მაღალჩინოსან ჩინოვნიკებთან ტელეფონით რეკვა დაიწყო.

ამის შემდეგ პაპის მაგიდიდან სასწრაფოდ აიღო ყველა წამალი, რომელსაც იოანე-პაველ I ექიმების დანიშნულებით სისტემატურად სვამდა, აგრეთვე, პაპის ხელნაწერები და მხოლოდ ამის შემდეგ შეატყობინა ექიმებს.

პირველად კარდინალ ვიოს ნდობით აღჭურვილი ექიმი ბუცონეტი მივიდა, რომელმაც ცხედრის მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების შემდეგ უსწრაფესად დაასახელა გარდაცვალების მიზეზი – ინფარქტი.

პონტიფიკს ბალზამირება გაუკეთეს, ხოლო პირადი ექიმის, ჯუზეპე დე როსის კატეგორიული მოთხოვნა გვამის გაკვეთის შესახებ უყურადღებოდ დარჩა.

რამდენიმე საათის შემდეგ პაპის ოთახებიდან გაიტანეს დოკუმენტები და ხელნაწერები, ხოლო თავად აპარტამენტები დალუქეს.

ვატიკანში მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ პაპი, რომელსაც სერიოზული ავადმყოფობა არ აწუხებდა, მოწამლეს და ასე მოიცილეს თავიდან.

ერთი ვერსიით, იოანე-პაველ I-მა პაპად არჩევისთანავე გაიჩინა ძალზე ბევრი მტერი. ის სოციალისტური იდეების მიმდევარი იყო და კომუნისტებსაც თანაუგრძნობდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ პაპი დიდი სიმპათიით იყო საბჭოთა კავშირისადმი განწყობილი.

გარდა ამისა, ვატიკანის ჩინოვნიკები შეაშფოთა პონტიფიკის რეფორმისტულმა გეგმებმა, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფოს — ვატიკანის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების სურვილმა და ზოგიერთი კარდინალის (მათ შორის ჟან ვიოს) თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებამ.

მოკლე ხანში პაპი ვატიკანის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდა.

## იოანე-პაველ II – კა-გე-ბეს ჟუდმივი სამიზნე

საბჭოთა სპეცსამსახურების შეტევის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი ვატიკანი იყო. იტალიის სპეცსამსახურებმა ჯერ კიდევ 1990 წლის ზაფხულში წარუდგინეს ქვეყნის მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ჯულიო ანდრეოტის ვრცელი საიდუმლო მოხსენება, რომელიც ვატიკანისა და განსაკუთრებით რომის პაპ იოანე-პაველ II-ის წინააღმდეგ კა-გე-ბეს დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს ეხებოდა.

1978 წლის ოქტომბერში პოლონელი კარდინალ კაროლ ვოიტილას რომის პაპად არჩევა საბჭოთა კავშირის იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარცხი იყო.

ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს ერთი მხრივ, „სოციალისტური ბანაკიდან“ პოლონეთის გამოსვლისა და მეორე მხრივ, თვით ამ „ბანაკის“ დაშლის მძლავრ იდეოლოგიურ იმპულსად.

საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მოვლენების ამგვარი განვითარების შემდეგ დამუშავდა და უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა სპეცღონისძიებების კომპლექსური გეგმა კოლური სახელწოდებით „პოპი“, რომელსაც დეზინფორმაციისა და ჭორების გავრცელების გზით პონტიფიკის დისკრედიტაცია უნდა მოეხდინა.

შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ „გეგმა“ მხოლოდ „უწყინარი“ ოპერაციებით არ შემოიფარგლებოდა.

1981 წლის 13 მაისს თურქი ტერორისტი ალი აგჯა (რომელიც იტალიელ „წი-

ბენედიქტ XVI-ს რომის პაპად არჩევამდე აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვის „შტაზის“ რვა აგენტი უთვალთვალებდა



**პოლონელი კარდინალი კაროლ ვოიტილა რომის პაპად (იოანე-პავლე II) არჩევის შემდეგ კა-გე-ბეს მუდმივი სამიზნე გახდა**

თელ ბრიგადებთან“ მჭიდრო კავშირში იყო) თავს დაესხა რომის პაპს და მძიმედ დაჭრა.

არსებობს ვერსიები, რომ ეს თავდასხმა კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის „ს“ სამმართველოს (არალეგალური დაზვერვა) მე-8 განყოფილების (სპეციალური ოპერაციები) ორგანიზებული იყო. თუმცა, ეს დოკუმენტურად ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ვატიკანში კა-გე-ბეს აქტიური ოპერატიული მოღვაწეობის (აგენტურის შეგზავნა, ფარული მოსმენა, „აქტიური ღონისძიებები“, შანტაჟი, ლიკვიდაცია და ა. შ.) ამსახველი დოკუმენტები (მათ შორის უძველესი — საარქივოც) კვლავ რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ცხრაკლიტულებშია გადამალული და არავინ იცის, როდის იხილავს დღის სინათლეს.

საბედნიეროდ, გამოქვეყნდა ყოფილი საბჭოთა რუსეთის ლიტვის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო დოკუმენტების ნაწილი, სადაც ერთ საინტერესო საიდუმლო შიფრ-დეპეშას წავაწყდით.

1988 წლის 12 ოქტომბერს ლიტვის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი განყოფილების (ამ ნუმერაციის უკან საგარეო დაზვერვის დანაყოფი იყო შენიღბული) უფროსი, პოლკოვნიკი კარნიუსკასი საიდუმლო შიფრ-დეპეშას გზავნის მოსკოვში, სსრკ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) „ა“ სამსახურის (ე. წ. „აქტიური ღონისძიებების“ — დეზინფორმაციის გავრცელების სამსახური) უფროსის მოადგილე პოლკოვნიკ სოცკოვთან. დოკუმენტში ვკითხულობთ:

**„უახლოეს პერიოდში აგენტი „გედმინასა“, ლიტვის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი პირი, ქსენძების ჯგუფთან ერთად მიემგზავრება ვატიკანში, სადაც ვიზიტის დროს ექნება შეხვედრება: იოანე-პავლე II-სთან, სახელმწიფო მდივან კაზაროლისა და სხვებთან“.**

დეზინფორმაციის ოპერაცია გულისხმობდა რომის პაპისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას საბჭოთა კავშირსა და ლიტვის სსრ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ.

გასაგებია, რომ ლიტვის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პონტიფიკის სრული ნდობით სარგებლობდა.

ამ დროს კი ეს ინფორმაცია სუკ-ში იყო მომზადებული.

ვატიკანისა და რომის პაპის წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებები დეზინფორმაციული ოპერაციების პარალელურად ითვალისწინებდა ოპერატიული ტექნიკის ფართოდ გამოყენებას (ფარულ მოსმენებსა და ვიდეოგადაღებებს, სატელეფონო საუბრების ჩაწერას და ა. შ.).

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 80-იანი წლების დასაწყისში კა-გე-ბეს ვატიკანში, პაპას ახლო გა-

ვატიკანის არქივი ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს

რეგიონაში, სულ მცირე სამი აგენტი ჰყავდა.

აქედან ერთ-ერთმა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე იერეა ტროლეროვამ, რომლის ქმარი კარდინალ კაზაროლის, ვატიკანის სახელმწიფო მდივნის ნაფესვი იყო, შემლო კარდინალის პირად აპარტამენტებში „ხოჭოს“ დაყენება და რამდენიმე წელი კა-გე-ბე ვატიკანის საიდუმლოებებს უპრობლემოდ იგებდა. იტალიის სპეცსამსახურებმა მოსასმენი აპარატურა მხოლოდ 1990 წელს აღმოაჩინეს.

იოანე-პაულე II-ის გარდაცვალების შემდეგ პოლონელმა კარდინალმა იუზეფ გლემპმა (ცნობილი ანტიკომუნისტი მოღვაწე, პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიას 1981 წლიდან ყველაზე ძნიმე პერიოდში ხელმძღვანელობდა) დაადასტურა, რომ რომის პაპი საბჭოთა და სოციალისტური პოლონეთის დაზვერვის მუდმივი ყურადღების ობიექტი იყო.

ამ ოპერაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საიდუმლო აგენტს, პოლონელ ძველდელ კონრად ჰეიმოს. რომის პაპს ყოველთვის გვერდით ჰყავდა ეს ღვთისმსახური. ვერ ხედებოდა მის მისიას თუ სულგრძელად პატიობდა?

## ვემთქმულება ბენედიქტ XVI-ის წინააღმდეგ?

ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვის არქივების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ გერმანელ კარდინალ იოზეფ რანტცინგერს, ამჟამინდელ რომის პაპ ბენედიქტ XVI-ს, ერთდროულად რვა(!) „შტაზის“ აგენტი უთავლთველებდა.

ბუნებრივია, ამჟამად სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების აქტიურობა უფრო გაიზარდა, რასაც მისი პირადი წერილების მოპარვა ადასტურებს.

მაისის ბოლოს ვატიკანის ჟანდარმერიამ საიდუმლო დოკუმენტების ქურდობის ბრალდებით 2006 წლიდან პინტიფიკის პირადი კამერდინერი პაოლო გაბრიელე დააკავა. ის იმ მცირერიცხოვან პირთა შორის იყო, რომელთაც პაპის პირად აპარტამენტებში შესვლა შეეძლოთ.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღით ადრე პოსტიდან გაათავისუფლეს მხოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი საფინანსო სტრუქტურის „ბანკ ვატიკანის“ პრეზიდენტი ეტორე გიტი ტედესკი, რომელსაც მანამდე პინტიფიკი ენდოდა.

ბენედიქტ XVI უკვე 85 წლისაა. ამას წინათ თავად განაცხადა, რომ თუ ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი პრობლემების გამო ვერ შეძლო კათოლიკური ეკლესიის მეთაურობა, გადადგება.

უცხოელ ანალიტიკოსთა აზრით, ამჟამად გამოიკვეთა ორი დაჯგუფება, რომლებიც ბენედიქტ XVI-ის შემცველების შესარჩევად იბრძვიან.

„ძველი გვარდია“ (ბენედიქტ XVI ადრე დანიშნული და მისი ერთგული კარდინალები და საერო პირები) უპირისპირდება „ახალ ტალღას“ — ვატიკანის სახელმწიფო მდივნ ტარჩიზიო ბერტონეს კლანს, რომელიც ახალ პაპად იტალიელი კარდინალის არჩევას ცდილობს.

ფაქტია, რომ იტალიელებმა ვერც 1978 წელს და ვერც 2005 წელს შეძლეს იტალიელის გაყვანა პონტიფიკად.

მიმდინარე წლის თებერვალში პაპმა 22 კარდინალი დანიშნა, რომელთა უმრავლესობა იტალიელია. ამ გადაწყვეტილებამ „ძველი გვარდიის“ გაღიზიანება გამოიწვია.

საიდუმლო დოკუმენტებში, სადაც კორუფციის, ნეპოტიზმისა და შიდა კონფლიქტების შესახებაა საუბარი, ყველაზე ხშირად სწორედ ტარჩიზიო ბერტონე ფიგურირებს.

აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ დოკუმენტების მოპარვა და მასმედიისთვის გადაცემა მიზნად ვატიკანის სახელმწიფო მდივნის დისკრედიტირებას ისახავს. თუმცა, სკანდალმა უდიდესი ზიანი მიაყენა მთელ კათოლიკურ ეკლესიას.

ვატიკანის პრობლემები ამით არ დასრულებულა. მიმდინარე წლის 31 აგვისტოს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა კარდინალი კარლო მარია მარტინი (15.02.1927. – 31.08.2012.), კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული პირი, რომელიც ცნობილი იყო ლიბერალური შეხედულებებით, რის გამოც პაპ ბენედიქტე XVI-ის ფარულ ოპოზიციაში იყო.

კარდინალ მარტინის გარდაცვალების შემდეგ იტალიის მასმედიაში გამოქვეყნდა მისი უკანასკნელი ინტერვიუ, სადაც ის, მრავალ სხვა რეფორმისტულ მოსაზრებასთან ერთად, აცხადებდა: „კათოლიკური ეკლესია ცხოვრებას 200 წლით ჩამორჩა“.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გამწვავა ის ფარული დაპირისპირება, რომელიც ვატიკანში ყოველთვის იყო სხვადასხვა კლანს შორის. თუ როგორ განვითარდება მოვლენები და რომელი დაჯგუფება გაიმარჯვებს, ამას დრო გვიჩვენებს.

**ბესიკ ალადაშვილი**
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

# დაღესტანი

## გამოუცხადებელი ჯიჰადის ქრონიკა

ამა წლის 28 აგვისტოს დაღესტნის რესპუბლიკის ბუინაქსკის რაიონის დაბა ჭირკეიში ტერორისტმა ქალმა, ვინმე ამინათ (ალა) საპრიკინა-ყურბანოვამ საცოცხლე მოუსწრაფა დაღესტნელი სუფისტების სულიერ ლიდერს — ნაყშბანდიას და შაზალიას ტარიკათების შეიხს, საიდ-აფანდი ჭირკეელს (ნამდვილი სახელი — საიდ აბდურაჰმანის ძე აცაევი).

ეს უკანასკნელი არა მარტო დაღესტანში, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, რამდენადაც შეიხობის გარდა, შაფიიტური მაზჰაბის (ისლამური სამართლის სკოლა, რომლის მიმდევრებიც არიან ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ხალხები) და აშარიტული აყიდის (თეოლოგიური მიმდინარეობაა ისლამში) ერთადერთი სპეციალისტი იყო და შუძლო ეკამათა სალაფიტებთან (ანუ როგორც მათ რუსეთში შეცდომით უწოდებენ — ვაჰაბიტებთან).

სუფისტებსა და სალაფიტებს შორის დაპირისპირება ჩრდილო კავკასიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და იმთავითვე დიდი სიმწვავით გამოირჩეოდა.

იმ დროს საიდ-აფანდი ჭირკეელი უკვე უსაზრო (სუფისტთა სულიერი დამრიგებელი) იყო; სწორედ მისი ქადაგებების წყალობით სალაფიტობამ დაღესტანში ფეხი ისე ძლიერად ვერ მოიკიდა, როგორც ჩეჩნეთში; თუმცა, ჩეჩნეთის მოსაზღვრე ბოთლიხის, წუმადისა და წუნტის რაიონებში, რომლებიც ანდიურ-დიდოური ტომებითაა დასახლებული, ჩეჩნებს მაინც აუბეს მხარი და სალაფიტობა შეითვისეს.

სალაფიტობის უპირველესი და მგზნებარე მქადაგებელი იქ ხვარშელი (ხვარშილები ერთ-ერთი დიდოური ტომია) ბაჰაუდინ ყებედოვი გახლდათ, რომელსაც უკვე კარგა ხანია, რუსეთის ფედერაციაში წითელი ცირკულარით ეძებენ. ყებედოვი საიდ-აფანდის იმთავითვე დიდი გაცხარებით ეკამათებოდა, მაგრამ შეიხის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ თვით სალაფიტთა ლიდერიც ვერ ბედავდა მას თუნდაც უბრალოდ დამუქრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სუფისტებს მწვალებლებად აცხადებდა.

### სუფიზმი და სალაფიტობა დღევანდელ დაღესტანში

დაღესტნის რესპუბლიკაში სალაფიტობა ანუ ვაჰაბიზმი 1999 წლიდან მკაცრად აიკრძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მქადაგებლებსა და მიმდევრებს სისხლის სამართლის პასუხისგება ეკისრებათ. ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებში სალაფიტობა არ იკრძალება, მაგრამ იქაურ სალაფიტებს დაღესტანში შესვლისას პრობლემები ექმნებათ, — სამართალდამცველები აკვებენ ყველას, ვინც სალაფიტური „ძოდის“ შესაბამისად გრძელ წვერს ატარებს, ულვაში კი გაპარსული აქვს.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, დაღესტნის იმ რაიონებში, რომლებიც ჩეჩნეთს ესაზღვრება და ანდიურ-დიდოური ტომებითაა დასახლებული, სალაფიტები არალეგალურად მაინც მოქმედებენ.

სხვათა შორის, ამის მიზეზი ისაა, რომ ანდიელ-დიდოელები ეროვნული თვითგამორკვევისთვის იბრძვიან და უპირისპირდებიან ხუნძებს, ანუ ავარიელებს, რომლებიც დაღესტნის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ერია.

ხუნძი იყო თვით იმამი შამილიც და სწორედ მან შემოიტანა ნაყშბანდიას სუფისტური მოძღვრება კავკასიაში. ხუნძებისაგან კი, რომლებმაც მოკლე ხანში აიტაცეს შამილის დარიგებანი, ნაყშბანდია ჩეჩნებშიც მალე გავრცელდა, ხოლო ანდიელ-დიდოელებში დიდი წინააღმდეგობა ხვდა, რადგანაც ეს ტომები ხუნძახის (ავარიის) სახანომ XVIII საუკუნეში ძალით დაიპყრო და მას შერე მათსა და ხუნძებს შორის სულ დაძაბული ურთიერთობა იყო. შამილს ანდისა და დიდოეთის თემებში რამდენჯერმე ლაშქრობაც კი დასჭირდა, რომ იქაურები დაემორჩილებინა.

XX საუკუნის ბოლოს, როცა ჩრდილო კავკასიაში ისლამის აღმავლობა

დაიწყო, ხუნძები შამილის მოძღვრების ერთგულნი დარჩნენ და ნაყშბანდიას ტარიკათი კელავ აადორძინეს. ამაში საიდ-აფანდი ჭირკელს უდიდესი წვლილი მიუძღოდა — ჭირკეის ჰეხის უბრალო მუშამ, რომლის იდეალიც იმამი შამილი იყო, იმდენი ქნა, რომ შუა აზიაში — ბუხარის ცნობილ მედრესეში მიიღო უმაღლესი ისლამური განათლება და აშობლიერ დაღესტანში უსთაზის პატივით მოსილი დაბრუნდა.

ამის პარალელურად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩრდილო კავკასიაში სალაფიტობის, ანუ ვაჰაბიზმის გავრცელებაც დაიწყო.

საიდ-აფანდი ჭირკელს მაშინ უკვე უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და აქტიურად შეუდგა ანტისალაფიტურ ქადაგებას, რასაც ყურანის ციტატებით ამაგრებდა.

სალაფიტები და მათი ლიდერი — ბაპაუდინ ყებედოვი არაოფიციალურ საუბრებში ირწმუნებოდნენ, რომ საიდ-აფანდის კა-გე-ბეს მაღალჩინოსნები მფარველობდნენ, მაგრამ სხვათა თანდასწრებით, კამათისას (იმხანად სალაფიტები და სუფისტები საჯაროდ ხშირად კამათობდნენ ამა თუ იმ საკითხზე) ეს არასოდეს უთქვამთ, ვერ ბედავდნენ.



საიდ-აფანდი ჭირკელი

1999 წლის სექტემბერში, როდესაც რუსულმა ფედერალურმა არმიამ დაღესტნის ბოთლიხისა და წუმადის რაიონებში სალაფიტური ჯანყი (რომლის მხარდასაჭერადაც ჩეჩნეთიდან თავისი მებრძოლებით შამილ ბასაევი შემოიჭრა) ჩააქრო და სალაფიტობა რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა, საიდ-აფანდი ერთ-ერთი პირველი სასულიერო პირი იყო, ვინც მთავრობას შუამდგომლობით მიმართა და სალაფიტობის დაშვება მოითხოვა: „მორწმუნეთათვის რაიმე აკრძალვის დაწესება არ შეესაბამება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობას. ყველა მუსლიმანი, მუხედავად იმისა, რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის, ტერორისტებს ისევე შეებრძოლება, როგორც თქვენ, მაგრამ რელიგიური დოგმების აკრძალვას ვერ მოგიწონებთ“, — ასე განაცხადა მაშინ სუფისტების სულიერმა წინამძღოლმა.

რუსი ერთნების თვითმკვლელი ქალი, რომელსაც ისლამი ჰქონდა მიღებული, დაღესტნელი სუფისტების სულიერი ლიდერი ააფეთქა

რასაკვირველია, დაღესტნის მთავრობამ მიმართვა ყურად არც იღო, რადგანაც დირექტივა კრემლიდან ჰქონდა

დაღესტნელი სუფისტი მურიდები საიდ-აფანდის საფლავთან

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

მიღებული, მაგრამ საიდ-აფანდი ჭირკელის აუტორიტეტი ხალხში ერთიორად გაიზარდა.

შეიხს წინამძღოლობა სუფისტთა კიდევ ერთმა ტარიკათმა — შაზიილიამ სთხოვა და, ცხადია, საიდ-აფანდისაც უარი არ უთქვამს: 2000 წლიდან ის ნაყშბანდიტებისა და შაზიილიტების უმაღლეს შეიხ ულ-ისლამად (სულიერ ლიდერად) გამოაცხადეს.

ხუნძთა ძნიშნელოვანი ნაწილი (მათ შორის — საქართველოში მცხოვრებიც) შაზიილიტური მოძღვრების მიმდევარია. ამდენად, ამ ტარიკათთა ერთგვარი გაერთიანებით რელიგიურ სფეროში ხუნძთა შორის ის სუსტი დაპირისპირებაც მოისპო, რაც აქამდე არსებობდა და ხუნძურმა ინტელიგენციამაც ხსენებული ფაქტი დადებითად შეაფასა.

ამის შემდეგაც საიდ-აფანდი ჭირკელმა ანტისალაფიტური ქადაგება კვლავ განაგრძო, ღღონდ კატეგორიულობას არ იჩენდა და ცდილობდა, სალაფიტები მთავრობასთან როგორმე შეერიგებინა: „მათ რიგებში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა და ყველა რომ მოეშოროთ, დამნაშავეები ჩვენ — მათი შშობლები ვიქნებით“, — ამბობდა დაღესტნელ სუფისტთა წინამძღოლი.

საიდ-აფანდი ყველაფერს აკეთებდა, რომ სალაფიტების ბანაკში მყოფნი ისევ „ტრადიციული ისლამისკენ“ (ასე უწოდებენ ჩრდილოკავკასიელები სუფიზმს) შემოიბრუნებინა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამაში მას ხელს დაღესტნის მთავრობაც უწყობდა — რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნებით ხუნძი მუხუ ალიევი საიდ-აფანდ ჭირკელის მურიდი (სულიერი შვილი) იყო და მასთან მოთათბირების გარეშე რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს არ წყვეტდა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, სალაფიტების გაღიზიანებას იწვევდა, — სუფისტთა შეიხის ავტორიტეტი და პოპულარობა მათ დიდად უშლიდა ხელს ქადაგებებსა, თუმცა, მის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას იმავე მიზეზის გამო ვერ ბედავდნენ.

ამდენად, საიდ-აფანდი ჭირკელის მოღვაწეობით უკმაყოფილნი დაღესტანშიაც იყვნენ და ჩეჩნეთშიც; ეს თავდ შეიხმაც კარგად იცოდა, მაგრამ ქადაგებას არ წყვეტდა და ზომიერებასაც იცავდა.

საინტერესოა ისიც, რომ ის ხუნძთა ეთნარქად — ეროვნულ ლიდერად დამსახურებულად ითვლებოდა და არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები, არამედ უკვე კრემლის მესვეურებიც კი უწევდნენ ანგარიშს.

თავის მხრივ, საიდ-აფანდი მთავრობასთან კონტაქტებს ფართოდ იყენებდა ხუნძი ხალხის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. — სწორედ მან აღკვეთა დაძაბულობა დაღესტნის ხასავ-იურთის რაიონში, იქ მოგვიანებით ჩასახლებულ ხუნძებსა და მკვიდრ ჩეჩენ-ახიელებს შორის; არადა, საქმე უკვე იქამდე იყო მისული, რომ ერთ დაუფიქრებელ ქმედებას შეიძლებოდა გასროლა მოჰყოლოდა.

ხასავიურთულ ჩეჩენ-ახიელებს, რომელთა უმრავლესობა ფარული სალაფიტი იყო, თავიანთ სოფლებში 1942 წლიდან (როდესაც ჩეჩენ-ინგუშები შუა აზიაში გაასახლეს) ჩასახლებულ ხუნძ სუფისტთა „მწვალებლობა“ აღაშფოთებდათ: ეს უკანასკნელები ჩეჩნების მიერ აშენებულ ძველ მეჩეთში ხშირად მართავდნენ „ზიქრს“ (სუფიური პრაქტიკა, როდესაც წრეზე მდგარ მორწმუნეები საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ და ამეორებენ „ლა ილაჰა ილალლაჰს“ ათასჯერ ან მეტჯერ სიმღერით), რაც სალაფიტი სწავლულების მიერ დაუშვებლად მიიჩნევა.

საიდ-აფანდი პირადად ჩაედინა ხასავ-იურთში და ყველაფერი უცებ მოაგვარა: სუფისტებმა მეჩეთი ფარულ სალაფიტებს გადასცეს, თვითონ კი ფული მთავრობისგან აიღეს და ქალაქის ხუნძურ უბანში ახალი მეჩეთი აგეს. ამასთან, შეიხმა ჩეჩნების სალა-

ფიტობის ამბავი არ გაამჟღავნა, რითაც ამ უკანასკნელთა გული მოიგო.

შესაბამისად, ამა წლის 28 აგვისტოს, შეიხ საიდ-აფანდი ჭირკელის მკვლელობა მოწმეთდელ ცაწე მეხის გაჯარნას ჰკვედა და სხვათა შორის, მას პირველნი სწორედ სალაფიტები გამოუმაურნენ — ინტერნეტში, მათ ვებგვერდებსა თუ საინფორმაციო პორტალებზე გამოჩნდა განცხადებები, რომ ყველასგან პატივცემული შეიხის მკვლელობა ხუფისტებსა და სალაფიტებს შორის ურთიერთობის დაძაბებისთვის იყო გამიზნული; საიდ-აფანდი ჭირკელის მკვლელობა არა დაღესტნელი, არამედ ჩეჩნი სალაფიტების დაჯგუფება „არრაად უს-სალიპინმა“ აიღო.

## ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲤᲘᲢᲣᲠᲘ ᲯᲐᲛᲐᲐᲗᲔᲑᲘ

**დღეს დაღესტნის ტერიტორიაზე სამი მსხვილი ჯამაათი, ანუ ისლამურ-სალაფიტური თემი მოქმედებს: ნოღაის ჯამაათი ჩრდილოეთში, დერბენდის ჯამაათი ზღვისპირეთში და „ჯამაათ აშ-შარია“ დასავლეთში (ხუნძახში).** რასაკვირველია, სამივე თემი არალეგალურ მდგომარეობაშია და წევრების რაოდენობაც გასაიდუმლოებულია. დაღესტნელი სალაფიტები, როგორც წესი, კავკასიის სალაფიტური საამიროს უმაღლეს ემირს ემორჩილებიან.

**სალაფიტები ყველაზე დიდი გავლენით ანდიურ-დიდოურ რაიონებში — ბოთლიხში, წუმადასა და წუნტაში სარგებლობენ. ბოთლიხი და წუმადა ჩეჩნეთს ესაზღვრება, ხოლო წუნტა — საქართველოს ყვარლის რაიონს.**

ამ რაიონებში მცხოვრები ანდიელ-დიდოელები ეროვნებით ხუნძებად ითვლებიან და სალაფიტობის მიღებით მათ 90-იან წლებში დაღესტნის მთავრობის მიმართ ერთგვარი პროტესტი გამოხატეს.

„ჯამაათ აშ-შარია“ დაღესტნის სალაფიტურ ჯამაათებს შორის ყველაზე გავლენიან თემად ითვლება, თუმცა, ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს და მასმედია ექსპერტთა ვარაუდს ან ზეპირ მონაცემებს ეყრდნობა. ამასთან, არც ის არის ცნობილი, თუ ვინ მეთაურობს ხსენებულ ჯამაათს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, მისი ხელმძღვანელი ისევ ბაჰაუდინ ვებედოვია, მიუხედავად ამისა, რომ უკვე კარგა ხანია, კავკასიაში კი არა, სხვაგანაც თვალით არავის უნახავს.

სალაფიტების „წყალობით“ დღეს დაღესტნის მთელ ტერიტორიაზე პარტიზანული ომი, ანუ, როგორც ადგილობრივი მასმედია იხსენიებს, გამრუცხადებელი ჯიჰადი მძვინვარებს.

**სინამდვილეში ჩრდილო კავკასიის საამრომ ჯიჰადი ჯერ კიდევ 2007 წელს გამოაცხადა, მაგრამ თუ აქამდე ყველაზე ცხელი წერტილი ჩეჩნეთი იყო, ახლა დაღესტანშიც დაიძაბა ვითარება.** ერთი დღეც არ გავა, რომ ტერორისტებმა ვინმე ფედერალი, ადგილობრივი მთავრობის წევრი ან მათი რომელიმე აქტივისტი სიცოცხლეს არ გამოასალმონ. ხშირად ყველაფერი ეს დღისით, მზისით, ხალხმრავალ ადგილებშიც კი ხდება და სამართალდამცველები ვერაფერს არკვევენ, რადგან ხალხი დუმს.

**„სალაფიტურ მოძრაობას დაღესტანში ვერავინ ვერაფერს დააკლებს, ვინაიდან მას თავად ადგილობრივი მოსახლეობა უჭერს მხარს და იფარავს კიდეც. ამიტომ საჭიროა, ადგილობრივთა მხარდაჭერა მოაკლდეთ“, — ეს სიტყვები ჩეჩნეთის პრორუსული მმართველობის მეთაურს, რამზან კადიროვს ეკუთვნის.**

თავად პუტინიც ამ აზრისაა და ეს დაღესტნელებმაც მშვენიერად იციან; ამიტომაც ამბობენ: „სალაფიტებისა და ფედერალების მოქმედების მანერა ერთია, მიზანი კი სხვადასხვა“.

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲐᲒᲐᲫᲔ**



# LHD-3 Kearsarge

ეროვნული ბიბლიოთეკა

**57** ჯვაროსანთა არმიები ქვეითებისა და ცხენოსანი რაინდებისგან შედგებოდა. რაინდთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რელიგიურ ჯგუფებს ან ორდენებს ეკუთვნოდნენ. ისინი მკაცრ წესებს იცავდნენ, ზუსტად ისე, როგორც ბერები მონასტრებში. „მებრძოლი ბერები“ მამაცი მეომრები იყვნენ.

**58** ჰოსპიტალიერთა ორდენი 1099 წელს იერუსალიმში დაარსდა. თავდაპირველად ჰოსპიტალიერთა მოვალეობას ქრისტიანი მლოცველებისთვის ქალაქში უსაფრთხო თავშესაფრის მიცემა და ჰოსპიტალში ავადმყოფებისა და დაჭრილების მოვლა იყო. საბოლოოდ, ისინი დიდ სამხედრო ძალად ჩამოყალიბდნენ და მომლოცველებისა და ჯვაროსნების შეიარაღებულ დაცვად იქცნენ. ჰოსპიტალიერები ასევე წმინდა იოანეს რაინდების სახელით იყვნენ ცნობილი.

### ფარის დიზაინი

შუა საუკუნეების რაინდები ტყავგადაკრულ ხის ფარებს ატარებდნენ. ფარებზე ყველას საკუთარი გერბი ჰქონდა ამოტვიფრული, რომ თანამებრძოლებს ეცნოთ ბრძოლაში. მოიძიე ფარების სურათები წიგნებში ან ინტერნეტში. შემდეგ თავად დახატეთ და გააფერადე.

▼ ტამპლიერების სიმბოლო — ორი რაინდი ერთ ცხენზე.

**59** 1119 წელს იერუსალიმში ცხრა ფრანგმა რაინდმა ტამპლიერთა ორდენი შექმნა. მათ ტამპლიერებს, ტაძრელ რაინდებს უწოდებდნენ, რადგან რეზიდენცია სოლომონის ტაძართან ჰქონდათ. ორდენში მკაცრი დისციპლინა იყო, ტამპლიერები საუკეთესო მებრძოლები და ევროპელი ქრისტიანების შეწირულობების წყალობით მდიდრებიც იყვნენ.

**60** გერმანული ტევტონთა ორდენი 1198 წელს ქალაქ აკრაში ჩამოყალიბდა. ტევტონთა ორდენს ქრისტიანი მომლოცველები უნდა დაეცვა, მაგრამ მაჰმადიანებთან ბრძოლაში ჩაება და ციხესიმაგრეებიც აიგო. ისინი XIII საუკუნის 90-იან წლებამდე წმინდა მიწაზე იყვნენ, შემდეგ ბალტიისპირეთის რეგიონში გადავიდნენ და ლიტვაში იბრძოდნენ.

ტურნირებში ერთმანეთს შუბებით ერკინებოდნენ.

**61** ჯაჭვნიანი რაინდი შუა საუკუნეების ევროპის ელიტური მეომარი იყო. ბავშვობაში მას ცხენოსნობასა და ხმალ-შუბის ხმარებას ასწავლიდნენ. რაინდად კურთხევის შემდგომ ის ტურნირებში მონაწილეობდა, რათა გაეუმჯობესებინა საბრძოლო ოსტატობა და მზად ფოფილიყო ომში წასავლელად.

► რაინდები ბრძოლის ველისკენ ფერადი ალმებით (სამკუთხედი დროშებით) მიემართებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**62** მონღოლთა წინამძღოლი ჩინგიზ-ყაენი (1162-1227) მამაცი მეომარი და მრისხანე მმართველი იყო. ის მონღოლეთში დაიბადა და სახელად თემუჩინი დაარქვეს. მონღოლები ერთ-ერთი იყვნენ იმ მრავალრიცხოვანი ტომებიდან, რომლებიც ცენტრალური აზიის სტეპებში ცხოვრობდნენ. ისინი საუკეთესო ცხენოსნები იყვნენ და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ.

▲ უშიშარმა მეომარმა ჩინგიზ-ყაენმა მონღოლებს არაერთი გამარჯვება მოუპოვებინა.

**63** მონღოლური ტომები გაუთავებლად ეომებოდნენ ერთმანეთს. 1206 წელს თემუჩინმა გააერთიანა ყველა ტომი და მონღოლთა იმპერიის პირველი ყაენი გახდა. ტიტული ჩინგიზ-ყაენი „დედამიწის მმართველს“ ნიშნავს. მონღოლებმა თითქმის მთელი ჩინეთი დაიპყრეს. როდესაც გარდაიცვალა, მონღოლთა იმპერია გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან წყნარ ოკეანემდე. ეს იყო უდიდესი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში.

**64** მონღოლი მეომრები ტყავის ჯაჭვანსა და მუზარადებს ატარებდნენ. ისინი საუკეთესო მშვილდოსნები იყვნენ, — ისრებს ცხენით ჯირითისას შეუცდომლად ისროდნენ. საბრძოლო იარაღად იყენებდნენ ასევე ხმლებს, კვერთხებს, ნაჯახებს და ზოგჯერ მოკლე წვრილკაუჭებულ შუბებსაც. მონღოლ მეომარს რამდენიმე ცხენი ჰყავდა და ხშირად იცვლიდა, რომ არ დაექანცა.

▶ მონღოლთა იმპერიაში შედიოდა აზიის დიდი ნაწილი და მის საზღვრებგარე ტერიტორიებიც.

**65** მონღოლი მეომრები დაყოფილი იყვნენ დიდ ჯგუფებად, რომლებიც ათაკაციანი რაზმებისგან შედგებოდა. ბრძოლაში ხერხს ხმარობდნენ, — მტერს თავს აჩვენებდნენ, თითქოს გარბოდნენ. როდესაც დადევნებული ჯარი აქეთ-იქით დაიფანტებოდა, მონღოლები მოუბრუნდებოდნენ და მუსრს ავლებდნენ.

**66** ბრძოლა მდინარე ინდთან (ახ. პაკისტანის ტერიტორია) 1221 წელს გაიმართა. მონღოლთა 10000-კაციანი არმია მაჰმადიანთა 5000-კაციან ჯარს მდინარე ინდის ნაპირებთან შეება. მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე, მაჰმადიანთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოასწრო მდინარის გადალახვა.

◀ მონღოლი ცხენოსნები შეუდარებელი მშვილდოსნები იყვნენ. მათი ნახრალი ისრები სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემდა და სიგნალის მაგივრობას სწევდა.

# საზღვაო ოპერაციები სირიის სანაპიროსთან

სირიაში კვლავ მძვინვარებს სამოქალაქო ომი და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში პრეზიდენტ ბაშარ ასადის მხარდამჭერ თუ მოწინააღმდეგე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო აქტიურობამ ზაფხულის მეორე ნახევარში შესამჩნევად მოიმატა.

სხვადასხვა ქვეყნის საბრძოლო ხომალდები სირიის მიმდებარე წყლებში დაცურავენ, ერთმანეთს ყურადღებით აკვირდებიან და მოქმედებებს აკონტროლებენ.

როცა დასავლეთის ქვეყნების ხომალდები ასადის რეჟიმისთვის საზღვაო გზებით იარაღის მიწოდების აღსაკვეთ ღონისძიებებით არიან დაკავებული, იმავდროულად რუსეთის ფლოტი ძალისა და პოლიტიკური ინტერესების დემონსტრირებას ახდენს.

შემთხვევითი არ არის, რომ მოსკოვი დამასკოს ზღვაზე ასე აშკარად ეხმარება, ქვეყნებს შორის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობას საკმაოდ ხანგრძლივი წინა ისტორია აქვს.

1971 წელს საბჭოთა კავშირმა და სირიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პორტ ტარტუსის გამოყენებაზე, რითაც ხმელთაშუა ზღვაში მყოფმა საბჭოთა ხომალდებმა რემონტისა და მატერიალურ-უზრუნველყოფის საუალებებით შეეხსებისთვის აუცილებელი ბაზა მიიღეს.

თავის მხრივ, სირიის პორტებში ყოფნით საბჭოთა საბრძოლო ხომალდებმა ისრაელელთა ფლოტის მოქმედებები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გარკვეულწილად შეზღუდეს.

ამასთან, 1973 წლის ისრაელ-არაბეთის ომის დროს საბჭოთა ხომალდები საბჭოური იარაღითა და ტექნიკით დატვირთულ სატრანსპორტო გემებს სირიის პორტებამდე მიაცილებდნენ, უზრუნველყოფდნენ პორტების საჰაერო თავდაცვასა და ისრაელის სარაკეტო კატარღების თავდასხმებისგან დაცვას.

საბჭოთა ფლოტი დანაკარგს ვერ გადაურჩა და 1973 წლის 11-12 ოქტომბერს ისრაელის სარაკეტო კატარღებმა პორტ ტარტუსში ორი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „გაბრიელი“ საბჭოთა სატვირთო გემ „ილია მენინკოვს“ მოარტყეს. გემს ხანძარი გაუჩნდა და იძულებულ დაზიანდა, რომ მისი ჩაძირვა გახდა საჭირო.

მომდევნო პერიოდებში საბჭოთა კავშირ-სირიის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობამ მრავალმხრივი მიმართულება მიიღო, რომელიც მოიცავდა სამხედრო-საზღვაო ტექნიკის გადაცემას, სპეციალისტებისა და ოფიცრების მოშზადებას, ერთობლივ სწავლებებსა და ა.შ.

პორტ ტარტუსში საბჭოთა და შემდგომ რუსული ხომალდები თავიანთი ყოფნით სირიის სანაპირო ზოლის უსაფრთხოებას გარანტორები გახდნენ.

მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა სირიაში სამოქალაქო ომის მასშტაბმა მოიმატა, რუსეთმა საკუთარი ინტერესების სადემონსტრაციოდ ქვეყნის სანაპირო ზოლის მიმდებარე წყლებში სოლიდური საზღვაო ძალა შეკრიბა.

ივლისში ხმელთაშუა ზღვაში სპეციალური დავალების შესასრულებლად შავი ზღვის ფლოტის ორი დიდი სადესანტო ხომალდი „ნიკოლაი ფილჩენკოვი“ და „ცეზარ კუნიკოვი“ გაიგზავნა. ორივე ხომალდის ბორტზე საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფები ჯავშანტექნიკის რამდენიმე ერთეულთან ერთად იყო განთავსებული.

ამ ხომალდებს შეუერთდა შავი ზღვის ფლოტიდან ფრეგატი „სმეტლივი“, ბალტიის ფლოტიდან — სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი „ვიცე-ადმირალი კულაკოვი“ და ფრეგატი „იაროსლავ მუდრი“, ჩრდილოეთის ფლოტიდან — სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი „ადმირალი ჩაბანენკო“, დიდი სადესანტო ხომალდები: „გიორგი პობედონოსეცი“, „კონდოპოგა“ და „ალექსანდრ ოტრაკოვსკი“.

ოფიციალურ მიზეზად დასახელდა სწავლების ჩატარება და ისეთ თანამედროვე საფრთხეებზე რეაგირება, როგორიცაა ბრძოლა ტეროროიზმთან, ნარკოტრაფიკთან, იარაღის უკანონო გადაზიდვასთან და სხვ.

კრიზისულ რაიონში ერთდროულად 5 სადესანტო ხომალდის ყოფნა იმასაც ნიშნავდა, რომ სახომალდო

შენაერთის ერთ-ერთი მისია სირიაში მცხოვრებ და იქ მომუშავე რუსეთის დაბლოვებით 30 ათასი მოქალაქის ევაკუაცია იქნებოდა.

ამ ვერსიას ისიც ამყარებდა, რომ სირიის ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ტარტუსში რუსულ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმებიც არ გამორიცხა.

ევაკუაციის დაწყების შემთხვევაში რუსი მეზღვაურები საკმაოდ რთული ტექნიკური პრობლემის წინაშე დადგებოდნენ, — საბჭოთა პერიოდში აგებული სადესანტო ხომალდები ადამიანებს უშუალოდ ნაპირიდან იღებენ, რაც მიმდინარე საბრძოლო მოქმედებათა გამო უსაფრთხო არ არის.

ცხადია, ასეთ შემთხვევებში რუსებისთვის ზედგამოჭრილია ფრანგული Mistral-ის სერიის უნივერსალური სადესანტო ხომალდები, მაგრამ საფრანგეთში რუსეთის შეკვეთით მშენებარე „ვლადივოსტოკი“ მხოლოდ 2014 წელს, ხოლო „სევასტოპოლი“ კი 2015 წელს უნდა დასრულდეს.

თანაც ცივი ომის ეპოქაში აგებულ სადესანტო ხომალდებს შეზღუდული რესურსები (საწვავის, პროვიანტისა და სასმელი წყლის) აქვს და ზღვაში ხანგრძლივად ყოფნაზე გათვლილი არ არის.

22 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა, ვიცე-ადმირალმა ვიქტორ ჩირკოვმა განაცხადა, რომ საბრძოლო მოქმედებები თუ ტარტუსს მიუახლოვდებოდა, მაშინ ბაზის ეკაკუაცია დაიწყებოდა.

28 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, არმიის გენერალ ნიკოლაი მაკაროვის თქმით, „სირიაში რუსი სამხედრო მრჩეველები ისევ რჩებიან და ამ ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა გეგმა კლავინდებურად ძალაშია“.

თავად ტარტუსში ვითარება შშვიდია. ბაზაში ამჟამად იმყოფება შავი ზღვის ფლოტის მცურავი სახელსნო ПМ-138, რომელსაც სექტემბრის ბოლოს იმავე დანიშნულების სხვა გემი შეცვლის.

აგვისტოს ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული ხომალდები სირიის წყლებს ტოვებენ, რათა დასაცლეთისა და არაბული ქვეყნების ძალების სამოქმედო ზონაში არ აღმოჩნდნენ.

მართლაც 20 აგვისტოს ჩრდილოეთის ფლოტის სამმა დიდმა სადესანტო ხომალდმა ხმელთაშუა ზღვა დატოვა და ცურვა ატლანტის ოკეანეში განაგრძო.

შავი ზღვისკენ წამოვიდა სადესანტო ხომალდი „ნიკოლაი ფილჩენკოვი“, რომელსაც სწავლება „კავკაზ-2012“-ში მონაწილეობა მოელის.

სირიას არც ასადის მხარდამჭერი სხვა ქვეყნები ივიწყებენ, თუმცა, მათი საზღვაო აქტიურობა სპონტანური სახისაა და უფრო მორალურ ხასიათს ატარებს.

მიმდინარე წლის თებერვალში პორტ ტარტუსში იმყოფებოდა ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების უახლესი სარაკეტო ფრეგატი Jamaran-ი და უზრუნველყოფის გემი 431 Kharg-ი.

ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვილი ფრეგატის ვიზიტით თეირანმა დამასკოს ხოლიდარობა გამოუცხადა და ორდღიანი ვიზიტის შემდეგ ირანელმა ხომალდებმა კურსი სამშობლოსკენ აიღეს.

თებერვალში კი სირიის სანაპიროებთან ჩინური სარაკეტო-საესკადრო ნაღმსანი 113 Qingdao და სარაკეტო ფრეგატი 538 Yantai გამოჩნდა.

შემდეგ ჩინურმა ხომალდებმა ცურვა შავ ზღვაში განაგრძეს და 31 ივლისს სევასტოპოლში სარაკეტო-საესკადრო ნაღმსანი „ცინდაო“, ხოლო სარაკეტო ფრეგატი „იანტაი“ კი კონსტანცაში შეკიდა.

ჩინური სახომალდო რაზმის მეთაური, კონტრადმირალ იან ცზიუფეის თქმით, ჩინელი მეზღვაურები ადენის ყურეში მეკობრეობას ებრძოდნენ და შავ ზღვაში შესვლის მიზანი სანავიგაციო-გეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლა იყო.

სხვა ქვეყნების აქტიურობის ფონზე სირიის საკმაოდ სუსტი სამხედრო-საზღვაო ფლოტი სანაპირო ზოლისა და ტერიტორიული წყლების მახლობლად მოცურავე დასაფლეთის ქვეყნების ხომალდებს აკვირდება, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ეს ყოფილა უსაფრთხო.

2011 წლის დეკემბერში სირიის ქვეყნის ტერიტორიული წყლების მახლობლად სირიელთა საპატრულო კატარღა გერმანელი სადაზვერვო ხომალდ A50 Alster-ისთვის კურსის გადაჭრას შეეცადა. ამ შემთხვევაში სახიფათო მანევრი ორივე მცურავი საშუალებისთვის მშვიდობიანად დასრულდა.

ამასობაში გამოჩნდა ინფორმაცია თავისუფალი სირიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ, რომელიც

**რუსი საზღვაო ქვეითები პორტ ტარტუსის გემთსადგომთან ვარჯიშობენ**

სირიელთა სარაკეტო კატარღა TirII-დან ხომალდსწინააღმდეგო რაკეტის სტარტი

ოპოზიციონერთა მხარეს გადასულმა სამხედრო მეზღვაურებმა და მოხალისეებმა შექმნეს.

ოპოზიციური ფლოტის უკან თუ რა ძალა დგას, უცნობია, სარდლობა კი საინტერესო განცხადებით გამოვიდა, რომ თავის მცურავ სამუალებებს თეზეჭერისთვის გამოიყენებდა, რათა საბრძოლო მოქმედებებმა და საერთაშორისო ბლოკადამ ქვეყანაში კვების პროდუქტთა ნაკლებობა არ გამოიწვიოს.

ამასთან, სარდლობა თეზეჭერი გემების დაჯავშნასა და მძიმე შეიარაღებით აღჭურვას აპირებს. გაურცელდა მიმართვა თეზეჭერი გემებისა და ნავების მფლობელების მისამართით, რათა ისინი ანტიასადურ მოძრაობას შეუერთდნენ ზღვაში სამთავრობო ძალებზე დარტყმის გასაძლიერებლად.

თავისუფალი სირიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი ოფიცერი ვალიდი კი რუსებს ტარტუსში რუსულ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმებთაც დაემუქრა.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს. ხმელთაშუა ზღვა აშშ-ის მე-6 ფლოტის პასუხისმგებლობის ზონაში შედის და მისი ხომალდები იქ მუდმივად არიან.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პორტ პორტსმუთში ხმელთაშუა ზღვაში ლაშქრობისთვის ბრიტანული შეეულმფრენშხიდი Illustrious-ი ეშზადება.

პორტ ტულონში ფრანგული ატომური ავიამზიდი Charles de Gaulle მოქმედების დაწყებისთვის ბრძანებას ელოდება.

## სირიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი

*სახომალდო შემადგენლობა: 2 ფრეგატი — საბჭოთა პროექტი 159; სარაკეტო კატარღები: 8 — საბჭოთა პროექტი 183, 12 — საბჭოთა პროექტი 205 და 10 Tir II — ირანული პროექტი IPS-18; 3 საშუალო სადესანტო ხომალდი — პოლონური პროექტი 771; მტრალაჟი ხომალდები: 1 — საბჭოთა პროექტი 1260, 5 — საბჭოთა პროექტი 12580 და 1 — საბჭოთა პროექტი 266M;*

*შედარებით თანამედროვეა ირანში აგებული Tir II ტიპის პატარა სარაკეტო კატარღები, რომლებიც Noor-ის ტიპის ორ-ორი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტით არის აღჭურვილი.*

*საზღვაო ავიაციის შემადგენლობაში მხოლოდ შვეულმფრენებია: 11 Ми-14, 5 Ка-25 და 5 Ка-25ПЛ;*

*სანაპირო დაცვა დაკომპლექტებულია ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებით: С-802, (ჩინეთი), П-5 და П-15 Термит-ი (საბჭოთა კავშირი), К-300Р Бастион-ი (რუსეთი);*

*ფლოტის შემადგენლობაში მყოფმა 205-ე პროექტის სარაკეტო კატარღების ეკიპაჟებმა მომზადება თავის დროზე ფოთის სასწავლო ცენტრში გაიარეს.*

*1981 წლის ოქტომბერში პორტ ლატაკიის რაიონში საბჭოთა კავშირისიის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლება ჩატარდა საზღვაო დესანტის გადასხმასა და უდაბნოს პირობებში საბრძოლო მოქმედებათა წარმოებაზე.*

*შტორმულ ამინდში საბჭოთა სადესანტო ხომალდებიდან ნაპირზე შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებული 882-ე ცალკეული საზღვაო ქვეითთა ბატალიონი გადაასხა.*

*2011 წლის ოქტომბერში ოდესაში ვიზიტით იყო სირიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლო გემი Al Assad 45 კურსანტით ბორტზე.*

*2012 წლის ოქტომბის პირველ დეკადაში სირიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდი სწავლება ჩაატარა. ზღვიდან მოულოდნელი შეტევის მოსაგერიებლად სანაპირო სარაკეტო კომპლექსებისა და ირანული პროექტის სარაკეტო კატარღების რაკეტებით სროლები შესრულდა.*

*ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ*

პორტი ტარტუსი — წითელი ტეხილი ხაზით ნაჩვენებია რუსული ხომალდების გემთსადგომები

# „ინოვაციების ომი“ აშშ-ის სრულმასშტაბიანი ჩარევა ვიეტნამის სამოქალაქო დაპირისპირებაში (1964-73 წწ.)

*„მორალი და სულისკვეთება შეუძლებელია გაზომილ იქნეს მასშტაბებში, მაგრამ სწორედ მათ შეუძლიათ სხვა ფაქტორებზე მეტად დააზარალონ ბრძოლისუნარიანობა“*

***ამერიკელი გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი***

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთმა მასშტაბურმა კონფლიქტმა, ვიეტნამის ომმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მსოფლიოს უახლეს ისტორიაში. სამხრეთ ვიეტნამში ომი სამოქალაქო შეიარაღებული დაპირისპირებით დაიწყო და შემდგომ სსრკ-ისა და ჩინეთის მხარდაჭერით ჩრდილოეთ ვიეტნამი ჩაერია, რასაც აშშ-ისა და მისი მოკავშირე სხვა ქვეყნების მონაწილეობა მოჰყვა.

## ომის ფინა პირობა

1964 წლის 2 აგვისტოს ტონკინის ყურეში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსანი Maddox-ი კომუნისტური ჩრდილო ვიეტნამის სანაპიროს რადიოელექტრონული დაზვერვით იყო დაკავებული, როცა მოულოდნელად ვიეტნამელთა სატორპედო კატარღებმა შეუტიეს.

ამერიკელმა ზომალდმა მოიერიშე F-8 Crusader-ების დახმარებით კატარღებს დიდი ზიანი მიაყენა და უკუაგდო.

5 აგვისტოს თუდასხმა განმეორდა, რის შემდეგადაც აშშ-მა ჩრდილოეთ ვიეტნამის სამხედრო ობიექტებს პირველი საჰაერო დარტყმა მიაყენა.

1964 წლის 24 დეკემბერს ვიეტკონგელმა პარტიზანებმა საიგონში ამერიკელი ოფიცრების საერთო საცხოვრებლად გადაკეთებული სასტუმრო Brinks-ი აააფეთქეს, ხოლო 1965 წლის 7 თებერვალს პირველად შეუტიეს ამერიკულ სამხედრო ობიექტებს ქალაქ პლეიკუსა და მოგვაანებით ქალაქ კუინენში. ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა დაამტკიცა ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის გრძელვადიანი გეგმა.

1965 წლის მარტში სამხრეთ ვიეტნამში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აეროდრომის დაცვის მიზნით გაგზავნილი საზღვაო ქვეითთა ორი ბატალიონით ვიეტნამის სამოქალაქო ომმა სახე შეიცვალა და მასში აშშ აქტიურად ჩაერთო.

1965 წლის ბოლოსთვის ვიეტნამში უკვე იყვნენ ამერიკის არმიის ორი დივიზია და რამდენიმე ბრიგადა.

## დაპირისპირებული მხარეები და ძალები:

*ანტიკომუნისტური ძალები – სამხრეთ ვიეტნამი (850 000 კაცი), აშშ (536 100), სამხრეთ კორეა (50 000), ავსტრალია (7 672), ტაილანდი და ფილიპინები (10 450), ახალი ზელანდია (552);*

*მათი მხარდამჭერი ქვეყნები — ესპანეთი (10), დიდი ბრიტანეთი, ტაივანი;*

*კომუნისტური ჩრდილო ვიეტნამის ძალები — 1 000 000-ზე მეტი კაცი, ვიეტკონგი (უცნობია), წითელი ჭხმერები (უცნობია), პათეტ-ლაო (უცნობია);*

*მათი მხარდამჭერი ქვეყნები — ჩინეთი (170 000 კაცი), სსრკ (3 000), ჩრდილო კორეა (300-600), კუბა (უცნობია);*

## მხარეთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა:

*სამხრეთი ვიეტნამი – პრეზიდენტები: ნგო დინ დიემი და ნგუენ ვან ტიეუ, პრემიერ-მინისტრი ნგუენ ჩაო კუ;*

*აშშ – პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, გენერალი უილიამ უესტმორელანდი, თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა;*

*ჩრდილო ვიეტნამი და ვიეტკონგი*

ამერიკულ საესკადრო ნაღმოსან Maddox-ზე ჩრ. ვიეტნამელთა სატორპედო კატარღების თავდასხმა ტონკინის ინციდენტის მიზეზი გახდა

– *პრეზიდენტი ხო ში მინი, ვიეტნამის კომპარტიის გენერალური მდივანი ლე ზუანი, გენერალი ვო ნგუენ ზიაპი.*

## ომის მსვლელობა

ჩრდილოეთვიეტნამელთა რეგულარული დანაყოფებისა და ვიეტკონგელთა (ამერიკელები ასე ეძახდნენ სამხრეთვიეტნამელ კომუნისტ პარტიზანებს) საბრძოლო კონცეფციას წარმოადგენდა მოქმედების „ერთი ნელი, ოთხი ჩქარი“ მეთოდი, რაც გულისხმობდა: ნელ, დეტალურ, მეთოდურ მოშზადებასა და თანამიმდევრულ დაგეგმარებას; სწრაფ გადადგილებასა და კონცენტრაციას; სწრაფ შეტევას; ბრძოლის ველის მყისიერ „გაწმენდას“; დაუყოვნებელ გაუჩინარებას.

აშშ-ის სარდლობამ სამხრეთ ვიეტნამის ოპერაციათა თეატრი დაყო ოთხი საარმიო კორპუსების პასუხისმგებლობის ოპერატიულ ზონებად:

I კორპუსი მოიცავდა ქვეყნის ჩრდილოეთ ვიეტნამთან მოსაზღვრე პროვინციებს, II კორპუსი – ცენტრალურ რეგიონს, III კორპუსი – საიგონის მიმდებარე პროვინციებს და IV კორპუსი – მდ. მეკონგის დელტასა და ქვეყნის სამხრეთ პროვინციებს.

1965-67 წლებში აშშ სამხრეთ ვიეტნამში ატარებდა მსხვილმასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც მოწინააღმდეგის მსხვილი დანაყოფების აღმოჩენა-განადგურებას ისახავდნენ მიზნად. ეს კონცეფცია „აღმოაჩინე-განადგურეს“ სახელით არის ცნობილი და იმ პერიოდში ვიეტნამში აშშ-ის ჯარების მთავარსარდლის გენერალ უილიამ უესტმორლენდის ხელმძღვანელობით შემუშავდა.

I კორპუსის ოპერატიულ ზონაში მოქმედებდა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის დანაყოფები და მას შემდეგ, რაც მოხერხდა დანანგის, ჩუდაისა და ფუბეის ინკლავებში გამაგრება, დაიწყო მიმდებარე რაიონებიდან სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა განდევნა და სანაპიროზე მოწინააღმდეგისგან თავისუფალი, ვრცელი ტერიტორიების შექმნა.

ამოცანის შესრულებას არულებდა ის გარემოება, რომ პარტიზანებთან ერთად ამერიკელებს ბრძოლა ჩრდილოეთ ვიეტნამიდან ინფილტრირებულ რეგულარულ დანაყოფებთანაც უხდებოდათ. ამიტომ აშშ-ის სარდლობამ საზღვაო ქვეითები ზონის ჩრდილოეთით გადაისროლა.

სამხრეთ მიმართულების დანიშნულებად 1967 წელს თავიდან ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაშლილი 23-ე ქვეითი დივიზია. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანმა ძალებმა 1967 წლის შემოდგომასა და მომდევნო პერიოდში კონტენჩენისა და კეზანის გამაგრებული რაიონები ალყაში მოაქცეს.

II კორპუსის ოპერატიულ ზონაში საბრძოლო მოქმედებათა ხასიათზე ადგილმდებარეობამ იმოქმედა. ვიეტკონგისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის რეგულარული ძალები ზონაში მეზობელი ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიიდან შემოდიოდნენ, მიჰყვებოდნენ სამხრეთ ვიეტნამის საზღვრის გაყოლებაზე გამავალ ფარულ გასასვლელს ე. წ. ხო ში მინის ბილიკს (ლაოსში მდებარეობდა) და ანამის მთების გადაკვეთით ბრინჯის ველებით მდიდარ ვაკე რაიონებსა და სანაპირო ზოლს აღწევდნენ.

ამ ზონაში მათ ებრძოდნენ აშშ-ის I-ლი საკავალერიო (ჯავშანსადაზვერვო დივიზია) და მე-4 ქვეითი დივიზიები, ასევე, მოკავშირე სამხრეთ კორეელთა სამხედრო კონტინგენტი.

1967 წელს საბრძოლო მოქმედებები მთებში გააქტიურდა და კულმინაციას მიაღწია ნოემბრის ბრძოლების დროს დაქთოს რაიონში, სადაც აშშ-ის 173-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადამ დიდი დანაკარგი განიცადა. თუმცა, მე-4 ქვეითი დივიზიის მხარდაჭერით მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლა მაინც მოახერხა.

III კორპუსის ზონაში პარტიზანული ომი განსაკუთრებით ფართოდ იყო გაშლილი. ამერიკელთა I-ლი და 25-ე ქვეითი დივიზიების ამოცანა იყო დე-

ამერიკელი სამხედროები დაღუპული თანამებრძოლის ევაკუაციას ელოდებიან

ვიეტკონგელი კომუნისტი პარტიზანები

დაქალაქ საიგონის დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან დაცვა, რისთვისაც აუცილებელი იყო ქალაქიდან რაც შეიძლებოდა მოშორებით პარტიზანული ჯგუფების აღმოჩენა-განადგურება.

ამის საჭიროება განსაკუთრებით „სამხედრო ზონა C“-ს (კამბოჯის საზღვრის მახლობლად) რაიონში შეამჩნეოდა. სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა ე. წ. რკინის სამკუთხედსა და სამხედრო ზონა D-შიც.

საიგონიდან აღმოსავლეთით ბაზირებული იყო მოკავშირე აუსტრალიელთა სამხედრო კონტინგენტი, ხოლო სამხრეთიდან ქალაქს აშშ-ის მე-9 ქვეითი დივიზია იცავდა.

IV ზონა მოიცავდა მდ. მეკონგის დელტაში არსებულ ჯუნგლებს, მდინარეებს, არხებსა და ჭაობებს. გეოგრაფიული გარემო და სოფლის მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე ამ რაიონში მოქმედ ვიეტკონგისა და ჩრდილო ვიეტნამის ინფილტრირებულ რეგულარულ დანაყოფებს პარტიზანული ოპერაციებისთვის იდეალურ პირობებს უქმნიდა, მათ შეუფერხებლად შეძლოთ თავშესაფარი ეპოვთ, შეეკრიბოთ ხურსათ-სანოვაგის მარაგები და ადამიანური რესურსები.

## ტეტის (ვიეტნამელთა ახალი წელი) შეტევა

*1965-67 წლებში სპრძოლო მოქმედებებს პერძანენტული ესკალაცია ახასიათებდა. იზრდებოდა სამხრეთ ვიეტნამის სამთავრობო ჯარების, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო კონტინგენტი, ასევე მათი მოწინააღმდეგის ძალები. საბრძოლო ოპერაციები უფრო ფართო მასშტაბს იძენდა და ერცელ რაიონებში მიმდინარეობდა. ჩრდილო ვიეტნამის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაგეგმა მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია, რომლითაც ომის დაწყებიდან პირველად სამხრეთ ვიეტნამის უმსხვილეს ქალაქებზე დარტყმით ომში გარდატეხის მიღწევას აპირებდა.*

*ამერიკელთა ყურადღების გადატანის მიზნით 1967 წლის შემოდგომაზე ჩრდილოვიეტნამელებმა რამდენიმე სასაზღვრო ბრძოლა წამოიწყეს და 1968 წლის იანვარში ალაფში მოაქციეს საზღვაო ქვეითთა ბაზა კხესანში, რითაც აშშ-ის სარდლობას გარნიზონის გაძლიერება აიძულეს.*

*აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობას ჰქონდა სადაზვერვო ცნობები ამ მზადების შესახებ, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, წინასწარ ვერ განსაზღვრეს, რომ მოწინააღმდეგე ეთიკურ (ვიეტნამელთა ახალ წელს), ეროვნულ (ქალაქი ჰუე — ქვეყნის ძველი დედაქალაქი და ისტორიულ-არქიტექტურული საგანძური) თუ სამხედრო (რამდენიმე წელი დაპირისპირებული მხარეები შეთანხმებული იყვნენ ამ პერიოდში არ ებრძოლათ) ნორმებს დაარღვევდა.*

*ასე რომ, 1968 წლის ტეტზე ვიეტნამელებმა დროებითი ზავი დაარღვიეს და მოულოდნელად წამოიწყეს მსხვილმასშტაბიანი შეტევათა სერია, მათ შორის დედაქალაქ საიგონზეც. ერთადერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას ძალიწიე მხოლოდ ჰუეში, რომელსაც რამდენიმე დღე ინარჩუნებდნენ და ვიეტნამის ომის ყველაზე ძმაფრ ბრძოლაში მხოლოდ ამერიკელთა საცეცხლე უპირატესობის გამო დამარცხდნენ. შედეგად ვიეტნამელთა ძველი დედაქალაქის ისტორიული ძეგლები მიწასთან გასწორდა.*

*ტეტის შეტევების დროს კხესანთან, საიგონსა და ჰიუეთთვის ბრძოლებში ვიეტკონგმა იმდენად დიდი ზარალი ნახა, რომ ომის ბოლომდე წელში გასწორება ვერ შეძლო. იმავდროულად, მსოფლიოსა და თავად აშშ-ის მოსახლეობას დაანახვა, რომ ომში გამარჯვება ამერიკისთვის იოლუზად რჩებოდა.*

*ამ გარემოებამ უფრო გაამძაფრა ამერიკის მოსახლეობის ანტისაომარი განწყობა, რაც ომდან აშშ-ის გამოსელის წინა პირობად იქცა.*

*1968 წლის მარტ-მაისში მოკავშირეთა ძალები კონტრდარტყმაზე გადავიდნენ. გენერალი უესტერორლენდი დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილო ვიეტნამისა და ვიეტკონგის ძალები კრიტიკულ მდგომარეობაში იყვნენ და საბოლოო დარტყმისთვის დამატებთ 206 ათასი კაცი მოითხოვა. აშშ-ში მასობრივი ანტისაომარი განწყობის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ვიეტნამში მხოლოდ მცირე შეკსება გაიგზავნა.*

*31 მარტს პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ წყვეტდა ჩრდილო ვიეტნამის საჰაერო დაბომბვებს და მზად იყო მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებად.*

**ვახტანგ კაკაბაძე**
***ბრიგადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი***

**(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგემბანო ავიაცია

გაგრძელება. დასწყისი იხ. „არსენალი“ N17-18, 2012

## ქართველის კვალი

ბრიტანეთისა და აშშ-ისგან განსხვავებით სსრკ-ში საგემბანო ავიაციას სეპტიკურად უყურებდნენ. პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა აქცენტს ტანკებსა და ავიაციაზე აკეთებდა. თუმცა, ფლოტში სახომალდო თვითმფრინავების გამოყენების რამდენიმე მცდელობა მაინც იყო და ამაში დიდი დამსახურება ქართველ კონსტრუქტორს, გიორგი ბერიაშვილს (ბერიევი) მიუძღვის.

**გიორგი ბერიაშვილი 1903 წლის 13 თებერვალს თბილისში დაიბადა. 1923 წელს თბილისის რკინიგზის სასწავლებელი დამთავრა და სწავლა ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო, სადაც 1925 წელს გემთმშენებლობის ფაკულტეტის საავიაციო განყოფილებაზე გადავიდა. 1930 წელს ინსტიტუტი წარჩინებით დაასრულა და მუშაობას საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტის, რიშარის საკონსტრუქტორო ბიუროში შეუდგა.**

30-იანი წლების დასაწყისში კრეისერებსა და სახაზო ხომალდებს დაზვერვისა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის მცირე ჰიდროთვითმფრინავები დაემატა. თავიდან თვითმფრინავებს წყალში საგემბანო ამწეებით უშვებდნენ, ხოლო მოგვიანებით ხომალდებზე მცირე ასაფრენი მოედნები მოეწყო. ამ შემთხვევაში თვითმფრინავს აფრენა და ისიც ქარის მიმართულების საპირისპიროდ მხოლოდ ხომალდის სრული სვლით ცურვის დროს შეეძლო. რაციონალური გამოსავალი საგემბანო კატაპულტამ მოიტანა. სსრკ-ში ამ ტექნიკის ათვისება გერმანიაში პნევმატური კატაპულტებისა და მცირე ზომის თვითმფრინავების შეძენით დაიწყო და 1930 წელს პირველი კატაპულტა შაჟი ზდვის საბჭოთა ხომალდ „პარიჟსკაია კომუნაზე“ დაამონტაჟეს.

1934 წელს საბჭოთა კატაპულტირებადი საგემბანო მზვერავის შექმნა ბერიევს დაეკისრა და მალევე აიგო KOP-1, რომელიც ახალი მსუბუქი კრეისერების შეიარაღებაში უნდა შესულიყო.

ის იყო პირველი საბჭოური სახომალდო და იმავდროულად ბერიევის მთლიანლითონური კარკასის მქონე თვითმფრინავი. KOP-1-ის პროტოტიპი ამერიკული „რაატ-ციკლონის“ ძრავით იყო აღჭურვილი, ხოლო სერიულები კი მისი ლიცენზირებული ანალოგებით მზადდებოდა.

მფრინავი ნავის სქემის მქონე თვითმფრინავი 1936 წლის 4 სექტემბერს აფრინდა და დავალების შესრულების შემდეგ ხომალდის მახლობლად წყალზე დაეშვა, საიდანაც გემბანზე ამწემ აიყვანა.

გამოცდისას თვითმფრინავს ბევრი

**KOP-1 — ბერიევის პირველი სერიული და პირველი საბჭოური სახომალდო თვითმფრინავი იყო**

| |
|---|
| მოდიფიკაცია — KOP-1 |
| ფრთის გაქანი — 11 მ |
| სიგრძე — 8,88 მ |
| ცარიელი თვითმფრინავის წონა — 1800 კგ |
| მაქს. ასაფრენი — 2626 კგ |
| ძრავას სიმძლავრე — 1x635 ცხ.ძ |
| მაქს. სიჩქარე — 245 კმ/სთ-ში |
| ფრენის მანძილი — 530 კმ |
| პრაქტიკული ჭერი — 660 მ |
| ეკიპაჟი — 2 კაცი |
| შეიარაღება: სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ბომბები – 200 კგ-მდე |

ხარვეზი აღმოაჩნდა და მათ გამოსწორებას დრო დასჭირდა.

სამხედროებს თვითმფრინავის შესაძლებლობები არ აკმაყოფილებდათ, მაგრამ შეიარაღებაში KOP-1 მაინც შვედა, როგორც კატაპულტირებადი თვითმფრინავის ექსპლუატაციის შესწავლისა და კადრების მოშზადების საშუალება.

KOP-1-ს ტაგანროგის საავიაციო ქარხანაში 1937-40 წლებში უშვებდნენ. პროტოტიპების ჩათვლით მხოლოდ 12 ცალი ააგო და ომის დაწყებამდე ექვსი ბალტიის ზღვის, 5 კი შავი ზღვის ფლოტში ირიცხებოდა.

უშუალოდ საბრძოლო პირობებში KOP-1 არ გამოუყენებიათ.

ერთ შემთხვევაში თელიან შასიზე შეყენებულმა შავი ზღვის ფლოტის სამმა თვითმფრინავმა გერმანელთა კოლონებზე მიიტანა იერიში, მაგრამ დაბალი სიჩქარის გამო მოიერიშედ KOP-1-მა ვერ ფარგა — სამიდან ორი თვითმფრინავი გერმანელებმა ჩამოაგდეს.

KOP-1-ის პარალელურად ბერიევი მის გაუმჯობესებულ ვარიანტ KOP-2-ზე მუშაობდა. ამ უკანასკნელის მოდელიებაში შედიოდა დაზვერვა, სახიმალდო და სანაპირო საარტილერიო ცეცხლის კორექტირება, თანმხლები ხომალდების წყალქვეშა ნაღებისგან დაცვა და სხვ. ახალი თვითმფრინავის პირველი ფრენა 1940 წლის 21 ოქტომბერს შედგა. იმ პერიოდში სსრკ-ში „დიდი საოკეანო ფლოტის“ პროგრამით „სოვეტსკი სოიუზის“ სერიის სახაზო ხომალდები და 68-ე პროექტის მსუბუქი კრეისერები შენდებოდა. პირველი — ოთხი, ხოლო მეორე კი ორ-ორი KOP-2-ს მიღებაზე იყო გათვლილი.

თვითმფრინავის გამოცდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას დაემთხვა და საგამოცდო სტენდზე დამონტაჟებული კატაპულტდან KOP-2 პირველად 1941 წლის 31 ივლისს აფრინდა. მთლიანობაში სულ 46 KOP-2 აიგო.

**პირველი თვითმფრინავები შავი ზღვის ფლოტს 1942 წლის ზაფხულში გადაეცა და ისინი ტუაფსეში ბაზირებდნენ. შემდგომ ფოთთან, პალიასტომის ტბაზე დისლოცირებული 82-ე ცალკეული საავიაციო ესკადრილია აღიჭურვა.**

**შავ ზღვაზე თვითმფრინავები მხოლოდ 40-მილიანი საზღვაო სანაპირო ზოლის კონტროლისა და წყალქვეშა ნაღების აღმოჩენის მიზნით დაფრინავდნენ.**

**პირდაპირი დანიშნულებით თვითმფრინავის გამოყენება მხოლოდ 1943 წლიდან დაიწყო და პირველი კატაპულტა კრეისერ „მოლოტოვზე“ დამონტაჟდა.**




**ბრიტანელების აზრით, „კატოფაიკერების“ ერთჯერადი გამოყენება გამართლებული იყო**

**საზღვაო გამანადგურებლის ბაზაზე შექმნილი საგემბანო Sea Hurricane**

ომის შემდგომ ყველა ხომალდი რადიოლოკაციური სადგურით აღიჭურვა. გავიდა დრო და საგემბანო შვეულმფრენებმა ხომალდებზე თავიანთი ადგილი დაიკავეს, რითაც კატაპულტირებადი მზვერავების ერაც დასრულდა.

**გიორგი ბერიევი 1979 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის მოსკოვში, საავიაციო ტექნიკისა და გემთმშენებლობის სფეროში, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტში მრჩეველად მუშაობდა. 1947 წელს Бе-6-ისა და 1968 წელს Бе-12-ის შექმნისთვის, ის სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოდეს. საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავების გარდა ბერიევმა სხვა საკონსტრუქტორო ბიუროებში შექმნილი საფრენი აპარატების ბაზაზე სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური თვითმფრინავები დააპროექტა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით Ан-24-ის საფუძველზე აეროფოტოგადამღები Ан-30 შეიქმნა.**

**1989 წლის 10 ოქტომბერს ტაგანროგის საავიაციო ქარხანას სახელი შეუცვალეს და ბერიევის სახელობის ტაგანროგის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი უწოდეს.**

მეორე მსოფლიო ომისას მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ იყო

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲔᲑᲘ

ომის რთულ პირობებში, როცა ბრიტანეთი რესურსების ნაკლებობას განიცდიდა, საგემბანო გამანადგურებლების პარკის შესავსებად სახმელეთო თვითმფრინავების გადაკეთება გადწყდა.

1940 წელს ფლოტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ზღვაში სახმელეთო ავიაგამანადგურებლების Hurricane-ების გამოსაყენებლად სავაჭრო გემებზე დენის ამაჩქარებლები დაიდგა.

ასეთ ერთჯერად თვითმფრინავებს „კატოფაიკერები“ შეარქვეს. დავალების შესრულების შემდეგ მფრინავი მას პარაშუტით ტოვებდა და ზღვიდან მისი ამოყვანისთვის გემზე სპეციალური სამაშველო რაზმი იყო ორგანიზებული.

სამხედრეობი თვლიდნენ, რომ მოწინააღმდეგის ერთი ბომბდამშენის ჩამოგდების შემთხვევაშიც კი „პარაკეინის“ დაკარგვა საკმაოდ გამართლებული იყო.

„კატფაიკერების“ დებიუტი 1941 წლის 3 აგვისტოს შედგა, როცა მან გერმანული საპატრულო თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ავიაშხიდების ძომრაკლებასთან ერთად „კატფაიკერებმა“ აქტუალურობა დაკარგეს და ამ დროისთვის შრად იყო Hurricane-ს საგემბანო მოდიფიკაცია Sea Hurricane.

„სი ჰარიკეინების“ მთავარი სამოქმედო არეალი ხმელთაშუა ზღვა იყო, სადაც ავიაშხიდ „იგლიდან“ აფრენილი გამანადგურებლები მალტისკენ მიმავალ სატვირთო გემებს იცავდნენ.

1942 წლიდან საგემბანო ავიაციამ Seafire-ები მიიღო, ხოლო ხმელეთზე გადაყვანილი Sea Hurricane-ბი პორტებსა და სამხედრო-საზღვაო ბაზებს იცავდნენ.

**მოდიფიკაცია — Seafire F.Mk XV**
**ფრთის გაქანი — 11.23 მ**
**სიგრძე — 9.7 მ**
**ცარიელი თვითმფრინავის წონა — 2857 კგ**
**მაქს. ასაფრენი — 3466 კგ**
**ძრავის სიმძლავრე — 1x1850 ცხ.ძ**
**მაქს. სიჩქარე — 631 კმ/სთ-ში**
**ფრენის მანძილი — 605 კმ**
**პრაქტიკული ჭერი — 11277 მ**
**ეკიპაჟი — 1 კაცი**
**შეიარაღება: ორი 20 მმ-იანი ქვემეჭი, ოთხი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**

Seafire პირველი ბრიტანული საგემბანო თვითმფრინავი იყო, რომელსაც ავიაშხიდზე ნაკლები ადგილის დასაკავებლად, ფრთები ეკეცებოდა



მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ერთ-ერთ საუკეთესო გამანადგურებლის Seafire-ის საგემბანო მოდიფიკაცია 1942 წელს მომზადდა და საადმირალომ საგემბანო ვარიანტში გადაკეთებული 250 ერთეული დაუკვეთა. ახალ მოდიფიკაციას გაუძლიერეს შასი და კუდა ნაწილს დაუმატეს დასავდომი კაჟი, ხოლო წონის შესამცირებლად 20 მმ-იანი ქვემეჭების რაოდენობა ორამდე შემცირდა.

იმავე წელს „ფორმიდებლიდან“ და „ვექტორიესიდან“ მოქმედი Seafire-ები ჩრდილო აფრიკის თაუზე მიმდინარე საჰაერო ბრძოლებში ჩაებნენ.

1943 წლისთვის თვითმფრინავი ფლოტის 14 ესკადრილიის შეიარაღებაში რჩებოდა და რაოდენობრივადაც ყველაზე მეტი იყო ბრიტანეთში დამზადებულ საგემბანო თვითმფრინავებს შორის.

ავიაშხიდის გემბანსა და ანგარში ნაკლები ადგილის დასაკავებლად, თვითმფრინავის მორგე მოდიფიკაციას ფრთები ეკეცებოდა. შემდგომ პრაქტიკულად ყველა საგემბანო თვითმფრინაზზე (ყველაზე თვალსაჩინო გამონაკლისი ბრიტანული Harrier-ია) ანალოგიური კონსტრუქცია იყო გამოყენებული.

Seafire-ები წყნარი ოკეანესა და იაპონიის თაუზეც იბრძოლნენ. მონაწილეობდნენ ნორმანდიაში მოკავშირეების შეჭრაში, მაგრამ მცირე ფრენის მანძილი ბომბდამშენების ესკორტირების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომაც უმატესწილად მას ესკადრის ჰაერსაწინააღმდეგო თაოდაცვის უზრუნველსაყოფად იყენებდნენ. მოდიფიკაცია Mk.47 კი კორეის ომის მონაწილეა.

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲐᲤᲐᲩᲘᲫᲔ**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლევან სეფიისკვერაძე

# ფრონეზე

აქ რომ სიცხისაგან ქვეყანა იწვის და იბუგება ჩვენსა, ჩვენს პატარა თითქმის მიტოვებულ და გაუაცრილებულ სოფელში შუადღესაც კი ისეთი ტკბილი ნიავი უბერავს, იქ აიგანზე წამოდრანგვასა და ფრონეს ხეობის ცქერას არაფერი ჯობს. სოფლამდე რომ მიხვიდე, ისეთი საშინელი ათხრილ-დათხრილი გზა უნდა გაიარო, სანამ ჩაადწევ, შეიძლება შენმა ფილტვმა და კუჭმა აგდალებებიც კი გაცვალონ, მაგრამ ამ ვაგლახად ის აფანი ნამდვილად ღირს. ოთხი წლის წინ, რუსებთან ომის დროს, ეგნახეშში ჩამალულმა ჩვენმა სოფლელმა ბიჭებმა ამ გზაზე გაფლილი ასი რუსული ტანკი რომ დაითვალეს, მერე თვლა დაეზარათ და აბა, რა გზა გაუძლებდა ამ ტანკების მუხლუხებს. ხალხია და სულ იქიდან წასვლაზე უჭირავთ თავი. ფრონეს გადმა ხომ უკვე რუსები დგანან. აქეთ, სოფლის დასწყისში კი ჩვენი ჯარისკაცები მორიგეობენ ხოლმე. მოკლედ, ბოლო დროს იქ კარგი ბერი არაფერი ხდება, მაგრამ თბილისში როცა აგვისტოა, იქ ჩასვლა მაინც ოცნებად გექცევა კაცს. ალბათ, აფნის ამბებია ყველაფერი. აფნისა და ჯეიფერ-მწვანე ხეობის, შორს, ჯაფის მთებამდე რომ მიიკლაკნება.

დაწვები აიგანზე რკინის ზამბარებიან საწოლზე, გადაშლი გაყვითლებულ და კიდეებშეძოხულ ჟურნალ „დრომას", 1965 წლის სრულიად სულელურ და არაფრით გამორჩეულ ნომერს, მოსწვე ერთ ღერ სიგარეტს. მერე ჩაზვალ დაბლა, ზანტად, დამსვენებლის სიზანტით ამოიღებ ჭიდან ცივ, კამკამა წყალს, ჯერ გაიხედ-გამოიხედავ, ხომ არავინ მიყურებსო და მერე აგრე, უტიფრად შიგ ვედროდან დაეწაფები წყალს. დალევ და მერე ერთს ამოიხვნევ და ჰაიდაა... თავზე ისხამ ამ ცივ წყალს. მოკლედ, სიგიჟის ამბებია ეს ყველაფერი, მაგრამ ძალიან კარგია ოხრი...

აქ როცა ხარ, თავს წინასწარ შეუძახებ, რომ ღვინო ბევრი არ უნდა დალიო, რადგან იცი, რომ იქ გასართობიც ყველა მზიარულებაც. მაგრამ ისიც იცი, რომ მაინც არაფერი გამოგიგია და შენი ნათესავის პირველივე დაძახილზე მშვენიერად წაცუხცუხდები. წაცუხცუხებამდე ჯერ ჭრაჭუნა ქაღალდში გაახვევ ძეხვს, კონსერვს, ცელოფანის პარკში ჩადებ „ქალაქურ წვენებს" და თან გულში საკუთარ თავზე გეცინება. დალევ რომ მოგიწევდა, ეს ხომ ისედაც იცოდი.

მერე ჭალაში, ზუსტად იმ საგუბართან, ბავშვობაში რომ ჭყუმპალაობდით, ჩაზვალთ სამი, მაქსიმუმ, ოთხნი. ორს სხვადასხვა ღვინო ექნება წამოღებული. ერთს ყველი, მწვანილი და შავი ფქვილით წინა დღეებში გამომცხვარი ხმელი, მაგრამ უგემრიელესი ჰური. ამოალაგებთ ამ ყველაფერს და ხელების ფშვნეტით მოაგორებთ დიდ ქვებს ჩამოსაჯდომად. მდინარე ამ პერიოდში ნაზვარად დაშრალია და ვაი-ვაგლახით მოიხლაზნება, მაგრამ სწორედ ასეთი მდინარე გიყვარს, რადგან ბაუშობას და იმ დღეებს გაგონებს, შშობლების ზნაურში რომ ეპარებოდით და წვერიანი ოხი ბიძეები ღვინოში ფიჭიან თაფლს რომ გიცვლიდნენ. რომელი კანფეტი შეედრებოდა მაგას...

ოშზე ლაპარაკი არაუის უნდა, მაგრამ როცა იქ ხარ, სხვანაირად ლაპარაკი მაინც ვერ გამოგდით. „აი, აქედან ისრიდნენ ჩვენები. ორი ბეტეერი შემოვიდა თავიდან. ცხინვალიდან ისეთი ბაგაბუგის ხმა მოდიოდა, მეეხვდით, იქ უბედურება რომ იყო. მერე, მეგრული ბიჭები მოვიდნენ პიკაპებით და გაგვიხარდა. – იქნებ ახლა მაინც დაგვადგეს საშველი და ეს ომი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდესო. მაგრამ რუსებმა იმდენი ტანკი შემოიყვანეს, ჩვენ კი არა, ვინ გაუმკლავდებოდა მაგაო", – ამბობს ერთი იქაური და იმ დროს ქალაქში რა ხდებოდაო, – გეკითხება. სულ არ გინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ უგულოდ მაინც პასუხობ და უყვები წითელ ხიდთან ქართველია „ვმირობის" ამბებს. ამაზე ყველა ჩუმდება. ასეთ მომენტში ან უნდა გაჩუქდე, ანდა უნდა შეეგინო. ალბათ, გაჩუმება ჯობს...

ზემოთა მხრიდან, სულ ახლოს, თითქოს ჟურისძირში ავტომატის გაბმულად სროლის ხმა ისმის. ბიჭები ირონიულად იღიმიან და თავს გიქნევენ, „ეხინი" არაანო. შენ ბრაზდები, რადგან სადღაც გულისგულში ჯერ კიდევ იტ-

ქართულ ჯარს მოსახლეობა სიხარულითა და იმედით შეხვდა

ყუეებ თავს, რომ რუსები მხოლოდ შენი სოფლის ზემოთა გასასვლელთან დგანან და არა იქ, სადაც მოეპრიანებათ და მოესურვებათ. „წესით, აქეთ არც უნდა გადმოდიოდნენ, მაგრამ რას უზამ, რომ გადმოვა? ჩვენს ბიჭებს სროლა აკრძალული აქვთ და უყურებენ ეგრე შორიდან რუსებს და რაციაში გადასცემენ, ახლა იქ არიან, ახლა იქაო. რუსები სოფლის გარეთ არ გადიან, მაგრამ აგე, ხო ხედავ, რეზონათ ბაღში სიმინდის ერთი ტაროც კი ალარ დატოვეს. რა უნდა ქნა? ერთი ჰა, შეაგინებ. ისე კი არა, კაი მაგრად შეაგინებ და ვდაა“. უსმენ ამ სიტყვებს და ბრაზი კიდევ უფრო გეძალება. გრძნობ, რომ ბრაზსა ხარ აყოლილი. ბიჭები კი ვერაფერს ხვდებიან და სიპ ქვებზე მსხდომები აგრძელებენ სადღეგრძელოების თქმას.

ჭერე ცოტა წესში გაიშლებით. ვისაც რეზინის ფლოსტები აცვია, ეგრეეე შეტეკაჭუნდება მდინარეში, შენ კი პაპანაქებაში ბოტასების ჩაცმის მაუნე ჩვეეა თუ ვერ კიდევ არ მოგიშლია, წაალებით გაიხდი ბოტასებს, ზაფხულის წინდებსაც სათუოდ მიაწყობ ხის ძირას და მდინარის გრილი წყლით შენც ისაპოფენ. ახლა უკვე დიდები ხართ და რაღაცნაირად თითქოს ეგრეიდებათ კიდევ ნახევრად დამშრალ მდინარეში ბაუშვებივთ თავფეხიანად ჩაწოლა. აი, ამ დროსაა საჭირო ერთ-ერთ თამამი თანამეგსეფერე, რომელიც მაისურსაც გაიხდის, შორტსაც და მდინარის ფსკერზე მიწყობილ ხაესიან ქვებზე დაწვება.

მდინარის წყალი წამოზრდილ მუცელზე ოდნავ გადასდის და არის ერთ ამბავში. თავიდან ეჩხუბებით, ადე, კაცო, დალეული ხარ მაინც, გულმა არა გხიოსო, მაგრამ მერე მისი ბედნიერი სახის შემხედვარე, შენც დაეფიწეყ ძველთაძველ შეგონებას – დალეულზე წყალში შემსვლელს ცუდი რამე დამრთობაო და სასწრაფოდ მიუწევები ეგერდით სხვებს.

ჭალიდან ნიკი უბერავს, ხეხის სუნი სულ კარგ რამეებს გახსენებინ... ახლა უკვე მუცელზე გადაკორტიალდებით და ისისაა, სხვებს თავში მოსული ახალი იდეა – მოდი, დიდი ქვები მდინარეში ჩაეწყოთ და ზედ გაშალოთ ჩვენი სუფრაო, უნდა გაუმხილო, რომ თავს უკან ტოტების ტკაცუნისა და ნაბიჯების ხმა გესმის. ამ დროს ნათლად ხედავ შენს ფეხთით ჩაწოლილი მეგობრის დაბნეულ სახეს და ხედავ, რომ თავითი სწორედ ისინი გიდგანან, შენი სოფლის ვეზანები უკაცრიელ ტრამალად რომ აქცევს. არავინ არ იღების ხმას. არც ჩვენ და არც ისინი.

მეელვარებას არ იმჩნევ და იმასაც ვერ ხვდები, როგორ უნდა მოიქცე ამ დროს. თან გულში საკუთარ თავზე გეშლება ნერვები, მაინცდამაინც ახლა რომ მოგინდა წყალში ჩაწოლა. ღუმილი ძალიან დიდხანს გრძელდება. ბიჭები გულს იმაგრებთ და სათითაოდ ამოდიხართ მდინარიდან. ახლა უკვე ამ ერთიბეწო მდინარის გაღმა-გამოღმა დგახართ და იბღვირებით. სამნი არიან. ფორმაზე ვარსკვლავები და ზაზილაპილები არ უკეთიათ. ალბათ, რიგითები არიან. დაჯინებით გვიყურებენ და გვათვალიერებენ ყველას. ერთის მზერა იქვე, წყალში ჩადგმულ 10-ლიტრიან ღვინოს აშეშდება. „ღეიდმაგათისას დაჯალეინებთ, არ უნდათ“... – კბილებში ტოის ერთი-ერთი ჩვენიანი და ღვინოს ბიდმიანად გვისხამს ჭიქებში. რუსები ტანსაცმელს ნელ-ნელა იხდიან და თვალს ისევ არ გვაშორებენ.

ბიჭების თანდათანობით მხნეობა ემატებათ და სადღეგრძელოების თქმასაც იწყებენ. მოულოდნელობით გამოწვეულ დაზაფრულობას ჯერ კიდევ არ გაუელია, მაგრამ სხვებს მაინც თამამად აკვეები და ხმასაც მეტი რიხი ემატება. მაგრამ, თუკი თავიდან ღვინის ყოველი ჭიქის დალეგისას გრძნობდი, ბაზუსი როგორ გედებოდა მთელ სხეულში, ახლა სვამ და პროზექტურის მშიშარა ყარაულივით თვალები გაქეს ფხიზლად დაჭყეტილი.

ჯარისკაცები მდინარეში ზუსტად ამ ადგილებზე წვებიან, საიდანაც ცოტა ხნის წინ ამოხვედით. „ნეტა ის მანც თუ იციან, ამ სოფელს და ამ მდინარეს რა ჰქვია? რომ იცოდნენ, რა ხეირი. აბა, ეხვნი ამ ჭალის და ნაკვნის აიენის ამბავს რას მიბნედებიან. ერთი ამათიც, ჩაგვიმხამეს ყველაფერი“, – ფიქრობ გულში. ხმამაღლა კი შენი სოფლის სადღეგრძელოს ამბობ და ბიჭებს არწუნებ, რომ აუცილებლად მოვა დრო, როდესაც „ეხვნი“ აქ ალარ იდგებიან. შენ კი ფხიზლად ხარ, მაგრამ ბიჭებს ეშჩნევთ, რომ უკვე გვარიანად არიან მთვრალები. შეშის მიჩვეულმ ასე იცის. დიდ ეურადღებას ალარც კი აქცევენ წყალში ჩაწოლილ რუსებს.

ყველაზე ნაკლებად გულდარდიანი და შესაბამისად, ყველაზე მთვრალი თანასოფელი უკვე ისე თამამდება, იმუქრება, – მე სიმღერას დავიწყებ, ამყვავთ, თორემ თუ არ ამყვებით, ყველას გაუგებინებ, რუსები დაინახეს და შეშით ენა ჩაუვარდათო. ესლა გვაკლდა... ამ დროს ცხოვრებაში პირველად შეიძლება გაიხარო იმით, რომ სიმღერა არ იცი და არც არასოდეს გამოგდიოდა. ბიჭებიც იციან და შენ გარშე ვერ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, შემდეგ კი უკვე ანთებული თვალებით იწყებენ სიმღერას. „ჩემო ლამაზოოო სამშობლოო“, — მღერიან და სულ ოდნავ აპარებ თვალს მდინარის გაღმა.

სამივე მდინარიდან ამოსულა. ქვიშაზე ერთმანეთის ხმარმაყრდნობით პირდაღებულები სხედან ეა ქართული სიმღერის მაგიერობაზე მეტად, რასაკვირველია, ჩვენების სითამამით გაკვირვებულები შემოგეცქერიან. დაამთავრეს ეს სიმღერა და ახლა სხვა დაიწყეს. რომელი სიმღერა იცით?! ცოლი გამიდიდგულდაო, კაცი რომ წუწუნებს და

მდინარე ერგეტი
სოფელი ორ
ქვეყანად გაჰყო

დასაშიშმინებლად ათას „ფინტიკლუშკას“ რომ ჰპირდება. მიხვდით ხომ რომელი სიმღერაცაა?! „სულ გაგიკვებულა ეს ხალხი. ჯიბრის ამბებია, ალბათ, თორემ რატომ ყოფენ თავს შარში“, — ნიაღვარივით მოგდის თავში ასეთი სამარცხვინო აზრები და თან უგემურად ღეჭავ ძეხვის ნაჭერს.

ამასობაში გალმა მსხდომებმა რაღაცაზე დაიწყეს თათბირი. ჩვენები კი ისეთ აზარტში არიან შესულები, „ჩაკრულოს“ შესჭიდებიან და ყელის ძარღვები ნიკაპამდე აქვთ გამობერილი. უცებ ერთი რუსი ჯარისკაცი, რომელსაც ფორმა და ჩექმების ჩაცმა უკვე მოუსწრია, ტაშს შემოკრავს, აკტომატს იღებს და ბიჭებიც წყვეტენ სიმღერას. რუსმა აკტომატი ხელში შეათამაშა, მერე ამოიხვნეშა, წელზე გადაიკიდა და სრულიად უაქცენტო ქართულით თქვა: „სიმღერა მართლა კარგი ვიცით ქართველებმა. ომშიც გვეთი მაგრები რომ ვიყოთ, უფრო კარგი იქნებოდა. აბა, კარგად იყავით, ბიჭებო“ და მეგობრებს არც კი დალოდებია, ჩქარი ნაბიჯით დაუყვა ჭალას, რომელიც სწორედ მათი ბლოკსაგუშაგოსაკენ ადიოდა.

ჯარისკაცის ჩქარა წასვლის მიზეზს ყველა ადვილად მიხვდა. რასაკვირველია, არ სურდა, ქართველებთან გამოლაპარაკება (შესაძლებელია ეს მისი უფროსების დაკალებაც იყო) იმ ქართველებთან, რომლებიც თუნდაც სიმთვრალის ეშხით, აუცილებლად შეაგდებდნენ ნამუსზე და რუსებთან სამსახურზეც ჰკითხავდნენ რამეს. ის ორი რუსიც მალე წავიდა. უცნაური ისაა, რომ რუსის ჯარში მყოფი ქართველისათვის მისი წასვლის შემდეგ მოქეიფეებისგან არაუის შეუგინებია.

მერე ჩვენც ავშალეთ. მოგაგონეთ სასუნაკის ნარჩენი, ღვინის ცარიელი ჭურჭელი, დაგიჭირეთ ეს ყველაფერი ხელში და წამოვედით უკან, სოფლისაკენ. ყველანი ჩაფიქრებული სახითა და სიტყვის უთქმელად ვბრუნდებოდით სოფელში. ეკლესიას რომ მივუახლოვდით, მერეღა ამოღერღა სწორედ იმან, ყველაზე მთვრალი რომელიც იყო და ჭალაში სიმღერა ვინც წამოიწყო: „ბიჯო, მართლა არაფერი გგუშველება? სულ წაგვიღო წყალმა?“, მერე ხელი ჩაიქნია და თავჩაქინდრული წაჩანჩალდა გადათხრილ გზაზე. უკვე დადამებულიყო. გაღმიდან ისევ გაისმა აკტომატის გრძელი ჯერის ხმა. მაღლობა ღმერთს, ომი ჯერ არ იყო. რუსები ამჯერად, ალბათ, მოწყენილობას ებრძოდნენ.

ომმა ორივე
მხარეს უამრავი
მწუხარება
მოუტანა

# პრინცი რუპერტი

## 1619–1682

**პრინცი რუპერტი წამყვანი როიალისტი გენერალი იყო ინგლისის სამოქალაქო ომში და არაერთი ბრძოლა მოიგო.**

**„რაინის რუპერტად" ცნობილი ბოჰემიის მეფე ფრიდრიხ V-ისა და ჩარლზ I-ის დის, ელისაბედ სტუარტის ვაჟი იყო. 1619 წლის 17 დეკემბერს ბოჰემიის (თანამედროვე ჩეხეთი) დედაქალაქ პრაღაში დაიბადა. მომდევნო წელს მისი ოჯახი ბოჰემიიდან გააძევეს, ამიტომ მათ ნიდერლანდებში მოუხდათ გაქცევა.**

**1636 წელს ბიძას, მეფე ჩარლზ I-ს ესტუმრა ინგლისში და საღვთო რომის იმპერიის ძალებთან ბრძოლაში ჩაება. 1638 წელს დაატყვევეს და ავსტრიის სატუსაღოში სამი წლით დამწყვდიეს. გათავისუფლდა თუ არა, ინგლისში დაბრუნდა. 1642 წელი იდგა და სამოქალაქო ომის დაწყებას ბევრი ალარაფერი უკლდა.**

### ქრონოლოგია

* 1619 — 17 დეკემბერს დაიბადა პრაღაში.
* 1620 — ოჯახი ნიდერლანდებში გაიქცა.
* 1636 — ჩარლზ I-ს ეწვია ინგლისში.
* 1637 — ოცდაათწლიან ომში საღვთო რომის იმპერიის ძალებს ებრძოდა.
* 1638 — შეიპყრეს და სამი წელი სატუსაღოში გაატარა.
* 1642 — გაემგზავრა ინგლისში. დაიწყო სამოქალაქო ომი. იბრძვის ედჯჰილის ბრძოლაში.
* 1643 — გაიმარჯვა ჩალგრუვფილდის ბრძოლაში; აიღო ბრისტოლი; დამარცხდა მარსტონ-მურთან.
* 1644 — დანიშნეს სამეფო ჯარის მხედართმთავრად.
* 1645 — დამარცხდა ნეიზბის ბრძოლაში. დათმო ბრისტოლი.
* 1646 — განდევნეს ინგლისიდან.
* 1648 — წაუძღვა როიალისტთა ფლოტს და ინგლისურ ტვირთბრუნვას ხელი შეუშალა.
* 1651-53 — კარიბის ზღვაზე მეკობრეობა დაიწყო.
* 1653 — შეუერთდა საფრანგეთის მეფე შარლ II-ს.
* 1660 — რესტავრაციის შემდეგ ინგლისში დაბრუნდა.
* 1665-67 — იბრძვის მეორე ინგლისურ-ჰოლანდიურ ომში.
* 1670 — დაინიშნა „ჰუდსონის ყურის კომპანიის" პირველ მმართველად.
* 1672-74 — იბრძოდა მესამე ინგლისურ-ჰოლანდიურ ომში.
* 1682 — გარდაიცვალა 29 ნოემბერს, ლონდონში.

### ადრეული გამარჯვებები

პრინცმა რუპერტმა სამეფო კავალერიას, რომელიც გუსტავ ადოლფის შვედური ტაქტიკით გაწვრთნა, ედჯჰილთან ბრძოლაში პირველივე შეტაკებისას უსარდლა. მომდევნო წელს გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო ჩალგრუვფილდში. 1644 წელს იორკს შემოარტყა ალყა. მარსტონ-ურთან რუპერტი შეხვდა ოლივერ კრომველს, რომლისგანაც კავალერიის ტაქტიკა ისწავლა ედჯჰილთან ბრძოლაში.

პრინცმა ათასი მებრძოლით სამხრეთით დაიხია და მეფის ძალების სარდლობა დაეკისა, მაგრამ მეფის კანცელერებმა მის იერარქიულ ტუფალი შეუყენეს და სტრატეგიის გამოყენების საშუალება არ მისცეს. მაისში, ლესტერის ალყის შემდეგ, ფენსაში ნეიზბის ბრძოლაში ჩაინთრიეს. მისი საბრძოლო გეგმა საიმედო იყო, მაგრამ თავის კავალერიაზე კონტროლი დაკარგა. სექტემბერში ბრისტოლი დათმო, მერე კი, როდესაც 1646 წლის ფენსაში მეფეც დანებდა, რუპერტი ინგლისის პარლამენტმა ქვეყნიდან გაიძევა.

### ზღვაზე მოხეტიალე

1648 წელს როიალისტთა ფლოტს ჩაუდგა სათავეში და ახალწამოჩიტული ინგლისური რესპუბლიკის გემებზე დაიწყო თავდასხმა. როდესაც ხმელთაშუა ზღვიდანაც გაამეცეს, მეკობრეობას მიაყო ხელი, მაგრამ არცთუ წარმატებით. რუპერტი განდევნილ ჩარლზ II-ს შეუერთდა საფრანგეთში, მას მხოლოდ ერთი გემი ებადა.

როდესაც 1660 წელს ჩარლზი ტახტზე ადადგინეს, რუპერტი ფლოტის სარდლად დანიშნეს. რუპერტმა უფრო მეტ წარმატებას სწორედ ამ პერიოდში — მეორე და მესამე (1665-67 და 1672-72) ინგლისურ-ჰოლანდიური ომების დროს მიაღწია. რუპერტი ჰუდსონის სრუტის კომპანიის პირველი მმართველი გახდა.

განათლებული პრინცი სამეფო საზოგადოების წევრი გახლდათ. მეცნიერი და ხელოვანი რუპერტი მიჩნეულია ინგლისში მეცო-ტინტოს („შავი მანერა" — გრავიურის ერთ-ერთი სახე) გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრცელებლად, გარდა ამისა, მამაცი კაჯალერის სახელიც ჰქონდა გაჯარდნილი. პრინცი რუპერტი 1682 წლის 29 ნოემბერს, ლონდონში გარდაიცვალა.

## ედჯჰილის ბრძოლა

● როდესაც 1642 წლის 23 ოქტომბერს ედჯჰილთან თოთხმეტი ათასი როიალისტი შეიყარა თოთხმეტი ათასი პარლამენტის მომხრის წინააღმდეგ, რუპერტმა საბრძოლო გეგმა დასახა და საპარლამენტო კაჯალერიის წინ დადგა. ეს რომ იხილა, სერ ფეთფულ ფორტესკიუ როიალისტებს შეეურთდა. დარჩენილმა კაჯალერიამ კი ქვეითთა ჯარი გადათელა და გაიქცა, ქვეითების ოთხმა პოლკმაც გაქცევით უშველა თავს. რუპერტის მებრძოლებმა როიალისტთა არმია კაჯალერიის გარშე დატოვეს, პარლამენტის მომხრეებს კი ამ დროს რეზერვი ჰყავდათ. როიალისტთა ქვეითები მტერს ეკვეთნენ, მაგრამ მათ პარლამენტის კაჯალერიამ ზურგიდან გაუყარა მუსრი და მეფის შტანდარტიც დაისაკუთრა. რუპერტის ბრძოლის ველზე დაბრუნების დროს უკვე ყველაფერი დაკარგული იყო. იმ დამეს როიალისტები პარლამენტის მომხრეთა ბანაკში მიიპარნენ და შტანდარტი უკან გაიტაცეს. რუპერტმა მეფეს ურჩია, სანამ საპარლამენტო ძალები არეული არიან, ლონდონში ამხედრებულმა გაარეო. ამ მამაცური სტრატეგიით სამოქალაქო ომის მოგება შეიძლებოდა.

● პარლამენტის მომხრეთა არმიის საჯამაგირო ეჯგონის მოპარვის მცდელობის შემდეგ, პრინცმა რუპერტმა ისევ მეფის შტაბბინისკენ აიღო გეზი და ოქსფორდს მიაშურა, სადაც მტრის ჯარი წამოწია. სხვა რა გზა ჰქონდა, შემოტრიალდა და სიმინდის მინდვრებზე შეერკინა მათ ჩალგრუეფილდთან. ეს ბრძოლა 1643 წლის 18 ივნისს მოხდა. პარლამენტის დრაგუნები ღობეებს უკან დაიმალნენ, რათა როიალისტებისთვის ფარულად გაეხსნათ ცეცხლი. ჩვეული სიმარჯვეით რუპერტმა პირდაპირ ღობისკენ გასწია, ამჟღროლად, სხვა პოლკი ღობეებს გარშემო შემოწყო. „მრგვალთავიანებს“ (ასე უწოდებდნენ პარლამენტის მომხრეებს) სასტიკად შეუტიეს, ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა. როიალისტებმა კი მხოლოდ თორმეტი კაცი დაკარგეს, სამაგიეროდ, ბრისტოლისკენ მიმავალი გზა გაეხსნათ.

*მოამზადა*
**ლევან ინასარიძემ**



# აშშ-ის არმიის ინდიელი სკაუტები

**კროუს ტომის სკაუტი საკვალე-რიო პოლკიდან. პაუნების მსგავსად ისინიც სიუს წინააღმდეგ იბრძოდნენ. კროუს ტომის სკაუტები თან ახლდნენ გენერალ ჯორჯ კასტერს ლითლ ბიგ ჰორნის ისტორიულ ბრძოლაში**

აშშ-ის დასავლეთში ამერიკელ ახალმოსახლეთა გამჩრნამ და მიწების აქტიურმა ათვისებამ ინდიელ ტომთა ცხოვრების წესი დაარღვია და რეგიონი 1850-90 წლებში ომებმა მოიცვა.

ხელისუფლება ინდიელთა რეზერვაციებში დასახლებას შეეცადა, თუმცა, ეს პროცესი მეტკვნეული აღმოჩნდა. ტრადიციული ყოფა-ცხოვრებისა და სამოსახლო არეალის დასაცავად დასავლეთის ტომების უმრავლესობამ ხელისუფლებას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ფედერალურ არმიაში გამოცდილი, სახელმოხვეჭილი და სამოქალაქოომგამოცლილი ოფიცრები მსახურობდნენ, მათ ძალიან გაუჭირდათ ინდიელთა წინააღმდეგობის დაძლევა.

სამხედრო აღჭურვილობაში მიმდინარე პროგრესიც ფედერალების მხარეს იყო, მაგრამ ინდიელ მეომართა შეუპოვარი მეომრული სულის გატეხა მაინც ვერ მოახერხეს.

განსაკუთრებით დიდ სირთულეებს აქრიკული სამხედროები წააწყდნენ ქვეყნის 3 რეგიონში — ჩრდილოეთ დაბლობებზე დაკოტაში სიუს ძლევამოსილი ტომი პოზიციას არ თმობდა, ხოლო სამხრეთ დაბლობებზე, ტეხასში კი კომანჩები ყველას შიშის ზარს სცემდნენ. კიდევ უფრო რთული რეგიონი სამხრეთ-დასავლეთი თანამედროვე არიზონისა და ნიუ-მექსიკოს შტატები აღმოჩნდა, სადაც კანიონებსა და მთის მასივებში გამაგრებულმა ლეგენდარულმა აპაჩებმა საკუთარი სამოსახლო ტერიტორიები აუღებელ ციტადელად აქციეს.

გამოსავლის ძიებისას აშშ-ის მთავრობამ და არმიამ დასავლეთის ინდიელთა ომებში ინოვაციურ მეთოდს მიაგნეს და სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი ინდიელებისგან სკაუტთა, ანუ მზვერავთა საგანგებო სამხედრო ფორმირებათა ჩამოყალიბების აზრამდე მივიდნენ.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, ეს იყო მთავრობისთვის საოცრად მომგებიანი სვლა. ინდიელებთან გაჭიანურებული ომის პირობებში სკაუტთა ფორმირებების ჩამოყალიბებამ და ბრძოლებში გამოყენებამ სამხედრო კამპანიებში არმიისთვის სასაკეთო გარდატეხა შეიტანა.

ინდიელი სკაუტების აშშ-ის არმიაში მიღების შესახებ კონგრესის აქტი 1866 წლის 28 ივლისს გამოიცა. პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა აშშ-ის არმიაში სამსახურისთვის სკაუტებად სხვადასხვა ტომიდან გაწვევა მამაკაცები.

სკაუტების მოვალეობა იყო: სადაზვერვო დავალებების შესრულება, ფედერალურ ფორმირებებთან კოორდინირებული მოქმედება და რაზმის მეთაურის ბრძანებების შესრულება.

დოკუმენტის მიხედვით, სკაუტები ფედერალური არმიის კავალერისტების ტოლ ხელფასს მიიღებდნენ. რეზერვაციებში სიდუხჭირეში მცხოვრები ინდიელებისთვის ეს მომგებიანი იყო. სკაუტი მიიღებდა ჯამაგირს, ჯარისაცის სამხედრო ფორმასა და ცეცხლსასროლ იარაღს.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ გზით ინდიელი მისთვის ტრადიციულ და საყვარელ საომარ საქმეს უბრუნდებოდა.

ინდიელთა ომებში ინდიელი სკაუტების გამოყენება 1866 წლის აქტამდეც ხდებოდა, თუმცა, მაშინ სკაუტები ჩვეულებრივ მოქირაონებად ითვლებოდნენ და სამხედრო პირის სტატუსი არ ჰქონდათ. კონგრესის აქტით კი სკაუტები ფედერალური არმიის შემადგენლობაში შედიდნენ. სკაუტებისთვის იხსნებოდა სპეციალური ჟურნალები, სადაც იწერებოდა ბიოგრაფიული მონაცემები, სამხედრო სტაჟი, წოდებები.

მართალია, სკაუტები არმიელთა სამხედრო მუნდირს ატარებდნენ, მაგრამ ხშირად მათი ჩაცმულობა კომბინირებული იყო — ჯარისაცის სამოსთან ერთად ინდიელთა ტრადიციულ ტანსაცმელსაც ატარებდნენ და ხშირად მუნდირსა თუ ქუდს მეომრის სამკაულებითა და ბუმბულით ამკობდნენ. ეს მათ სტიმულს აძლევდა და სიამაყით აღავსებდა.

ინდიელ სკაუტებს უჭირდათ არმიის დისციპლინისა და წესების დაცვა, სამაგიეროდ თავიანთ მოვალეობას საუკეთესოდ არამიუდნენ თავს, პრაქტიკულად შეუცდომელნი იყვნენ.

და მაინც, რა დატვირთვა ჰქონდა ინდიელ სკაუტებს აშშ-ის ფედერალურ არმიაში?

ამის გასარკვევად უნდა გავიხსენოთ, თუ რა სირთულეებს წააწყდა ფედერალური არმია დასავლეთში ინდიელთა ომების პერიოდში.

სირთულეები კი მრავლად იყო. ქვეყნის დასავლეთი XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის მეჩხრად იყო დასახლე-

ბული, არ არსებობდა გამართული საკომუნიკაციო სისტემები, ტელეგრაფი, გზები, რკინიგზა. ამასთან, მთავრობას არ ჰქონდა დასრულებული რეგიონის სრულყოფილი ტოპოგრაფიული შესწავლა და ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოქმედი არმიის რუკაზე ბეჭრი თეთრი ლაქა იყო.

ამ ფონზე ინდიელთა პარტიზანული ბრძოლის საოცრად დახვეწილი მეთოდები სარდლობას დიდ თავსატეხს უნენდა.

ინდიელებმა შესანიშნავად იცოდნენ შშობლიური ადგილების რელიეფი. არმიასთან დაპირისპირებისას ისინი ოსტატურად იყენებდნენ ამ უპირატესობას და მოულოდნელი თავდასხმებით ფედერალებს დიდ პრობლემებს უქმნიდნენ.

გარდა ამისა, ინდიელებს ბრწყინვალედ შეეძლოთ მიწინაალმდეგისთვის გზა-კვალის არეკვა. მეომრები ადვილად არკვევდნენ სხვის მიერ დატოვებულ კვალს და საკუთარსაც უხილავს ხდიდნენ.

ასე რომ, მთავრობის 1866 წლის გადაწყვეტილება ინდიელებთან ბრძოლაში პროგრესული აღმოჩნდა. ვინ დაამარცხებდა ინდიელს ინდიელზე უკეთ? მით უმეტეს, თუ მას ეცეხლსასროლი იარაღს მისცემდნენ.

ინდიელთა ომებში არმიის წარმატებული მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა სწორედ ინდიელი სკაუტების გამოჩენა. მტრულად განწყობილ ინდიელებთან ბრძოლისას სკაუტთა რაზმები არმიის შეუცვლელი და შეუდარებელი მოკავშირე იყო. ამას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. ისტორიულად აშშ-ის დასავლეთში ინდიელთა შორის შიდა დაპირისპირება იყო. ამ ფაქტორით შესანიშნავად ისარგებლა ხელისუფლებამ.

კონკრეტულ ტომთან ბრძოლისას ფედერალები სკაუტებად იწვევდნენ ამ ტომისადმი მტრულად განწყობილ ინდიელებს. მაგალითად, სიუსთან ომისას არმიის მხარეს პაუნის ტომის სკაუტები მოქმედებდნენ, აპაჩებთან ბრძოლაში კი ნავაზოსა და მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი აპაჩი სკაუტები იბრძოდნენ.

ეს პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა დასავლეთში ინდიელთა ომების ეპოქაში და დამღუპველი აღმოჩნდა ხელისუფლებასთან მებრძოლი ტომებისთვის.

ამგვარად, სკაუტად გახდომისას მეომარს საკმაოზე მეტი მოტივაცია ჰქონდა, რომ ისტორიულ მოწინააღმდეგეზე შური ეძია.

ყველაფერთან ერთად ინდიელმა სკაუტებმა შესანიშნავად უწყოდნენ მათი ტრადიციული მოწინააღმდეგის, ამა თუ იმ ტომის, სამოსახლო არეალის რელიეფური თავისებურებები.

ტომთა შორის თაობების მანძილზე მიმდინარე კონფლიქტის შედეგად სკაუტებმა, უზუცესთაგან და წინაპართაგან მიღებული ცოდნით კარგად იცოდნენ, თუ როგორ იბრძოდნენ მათი ინდიელი მტრები.

ბოლოს და ბოლოს, რეზერვაციულ ცხოვრებამდე ბეჭრი სკაუტი თავადაც მრავალჯერ ყოფილა ტომთაშორისი კონფლიქტის მონაწილე.

აშშ-ის დასავლეთის ინდიელთა ომებში სკაუტების ეს გამოცდილება ნებისმიერი ოფიცრის კლასიკურ სამხედრო განათლებაზე მეტად ფასობდა. ინდიელი სკაუტი შესანიშნავად არჩევდა მაწაზე დატოვებულ კვალს, იმას, თუ რა მანძილზე იყვნენ მტრულად განწყობილი ინდიელები, როგორი იყო მათი მარშრუტი. ცხოველებისა და ფრინველების ხმებზე დაკვირვებით სკაუტს შეეძლო მოახლოებული საფრთხე ეგრძნო.

**აშშ-ის არმიის ინდიელი სკაუტი სამხედრო მუნდარითა და ტრადიციული მეომრული მოკაზმულობით**

ამგვარად, ინდიელმა სკაუტებმა დიდი წვლილი შეიტანეს არმიის სამხედრო კამპანიებში.

გადაჭარბებულია იმის თქმა, რომ ინდიელთა ომებში ფედერალების გამარჯვებაში სკაუტების ფაქტორი გადამწყვეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, სკაუტების დახმარებით არმიამ გაცლებით მალე ჩაახშო ინდიელთა წინააღმდეგობის კერები და გაჭიანურებული ომებიც 1880-იანი წლებისთვის, ძირითადად, დასრულებული იყო.

**ვიტალი ბარნოვი**

**აპაჩი სკაუტები. არიზონასა და ნიუ-მექსიკოში 1850-1886 წლებში აშშ-ის არმიას სერიოზულ სამხედრო წინააღმდეგობას უწევდნენ აპაჩების ტომის სამხედრო ლიდერები: ჩოჩისი, მანგას კოლორადასი, ვიქტორიო და ლეგენდარული ჯერონიმო. ამ ომში არმიას აქტიურად ეხმარებოდნენ სკაუტები აპაჩებისა და ნავაზოს ტომებიდან**

Port Batumi
Batumi Port
Batumi Port
Batumi Port

მდ. ზობიდან
გამოსული საბჭოთა
წყალქვეშა ნავები
ფოთის პორტის
აკვატორიას
იცავდნენ

სავლეთ ნაწილს, შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ძალების ევაკუაცია სევასტოპოლიდან და ნოვოროსიისკიდან სწორედ ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზა შავი ზღვის ფლოტის მთავარ ბაზად ოფიციალურად მხოლოდ 1942 წლის ოქტომბერში გამოცხადდა, უკვე 1942 წლის ზაფხულში ფოთის პორტში ბაზირებდა შავი ზღვის ფლოტის ესკადრა ფლაგმანის — სახაზო ხომალდი „პარიზის კომუნის“ მეთაურობით.

ფოთის პორტში ღუზები ასევე ჩაშუბული ჰქონდათ ხუთ კრეისერს და ექვს საესკადრო ნაღმოსანს. ამ მსხვილგაბარიტიანი სამხედრო ხომალდების გამო ფოთის პორტში სხვა მცირეტონაჟიანი ხომალდებისა და კატარღებისთვის ნაკლები ადგილი დარჩა. ამის გამო ბაზის მეთაურობამ მიიღო გადაწყვეტილება მდ. ხობზე დროებით ბაზირების პუნქტის შექმნის შესახებ. აქ განათავსეს დიდძალი მცურავი საშუალება, მათ შორის წყალქვეშა ნავები, მცირე ხომალდები და კატარღები. სხვათა შორის, დროებითი ბაზირების ამ პუნქტმა ფუნქციონირება მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც განაგრძო.

1941-1943 წლებში ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზა მთავარ როლს ასრულებდა საბჭოთა ფლოტის შავი ზღვის აკვატორიაში საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფის საქმეში. გარდა ამისა, ფოთის პორტიდან გასული ხომალდები და კატარღები საბრძოლო მხარდაჭერას უწევდნენ ამიერკავკასიის, კავკასიის, ყირიმისა და სამხრეთ ფრონტებზე საბჭოთა შენაერთებს, საზღვაო დესანტების გადასხმისა თუ საგემბანო არტილერიის ცეცხლის სახით. ამასთან, ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ხომალდები მიაცილებდნენ საზღვაო ტრანსპორტებსა და ახდენდნენ საზღვაო ფარვატების გატრალვას.

ომში გარდატეხის შემდეგ, როდესაც ვერმახტის შენაერთებმა უკან დახევა დაიწყეს, საბჭოთა მეთაურობას სამხედრო-საზღვაო ბაზის გადატანა ფრონტის უფრო ახლოს დასჭირდა. ამ მიზნით 1943 წლის შემოდგომაზე ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ხომალდთა ნაწილი ტუაფსესა და ნოვოროსიისკში



სახაზო ხომალდი
„პარიზის კომუნა“
ფოთის პორტში, 1942 წ.

ტორპედოს ჩატვირთვა საბჭოთა წყალქვეშა ნავზე ფოთის პორტში

გადავიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1944 წლის შემოდგომაზე, შავი ზღვის ფლოტის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა ფოთიდან ისევ სევასტოპოლში დაბრუნდა.

ფოთის პორტმა დაკარგა მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზის სტატუსი და 1945 წლის თებერვალში ის კავკასიის საზღვაო თავდაცვის რაიონად გადაკეთდა, თუმცა, ორ წელში ისევ დაუბრუნდა სამხედრო-საზღვაო ბაზის სახელი.

ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზა 1976 წლის 1-ელ სექტემბრამდე არსებობდა, სანამ 184-ე საზღვაო რაიონის დაცვის ბრიგადის სტატუსამდე არ ჩამოაქვეითეს. ეს ნომერი მას იმ 184-ე წყალქვეშა-ნაღმსაწინააღმდეგო ხომალდების ბრიგადის მიხედვით მიენიჭა, რომელიც ფოთის პორტში ჯერ კიდევ 1960 წლის შემოდგომაზე შეიქმნა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წლის 14 მაისის მონაცემებით, ფოთის სამხედრო პორტში დისლოცირებული 184-ე საზღვაო რაიონის დაცვის ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა: 181-ე წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ხომალდების, 182-ე მტრალაღმოჩენ-39-ე სადესანტო ხომალდების, 82-ე სასწავლო ხომალდების დივიზიონები და სხვა დამხმარე ნაწილები.

1992 წლის ბოლოსთვის 184-ე ბრიგადამ დატოვა ფოთის სამხედრო პორტი და ნოვოროსიისკის პორტში გადავიდა. ისე რომ, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს ორი მცირე სადესანტო კატარღა თუ დუტოვა (რომლებშიც ქართველმა მეზღვაურებმა ფულიც კი გადაუხადეს).

მას შემდეგ, ფოთის სამხედრო პორტზე (1992-1993 წლებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით) „არსენალში“ არაერთხელ დაიწერა და ამჯერად ამ თემაზე ადარ შეჩერდებით.

ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფოთის სამხედრო პორტში მდგარი 184-ე საზღვაო რაიონის დაცვის ბრიგადის ყველა მეურავი საშუალება (ან მათი დიდი ნაწილი) და სანაპირო ინფრასტრუქტურა შექმნის პროცესში მყოფ ქართულ სამხედრო ფლოტს მთლიანად უნდა დარჩენოდა, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

მოგვიანებით, როდესაც რუსეთი და უკრაინა ყოფილი საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს იყოფდა, საქართველო აღარავის გახსენებია, არადა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შავ ზღვაზე გადასასვლელი რუსეთსა და უკრაინასთან ერთად ხომ მხოლოდ საქართველოს ჰქონდა.

**ირაკლი ალადაშვილი**

2008 წლის აგვისტოში რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ფოთში ისევ „დაბრუნდა“, ოღონდ როგორც ოკუპანტი — ფოთის სამხედრო პორტის ნავსაყუდელთან სარაკეტო კატარღა „თბილისი“ იწვის

# ტყვიამფრქვევები უპილზო ვაზნებით

## ამერიკული ექსპერიმენტული ხელის ტყვიამფრქვევ LSAT-ის სროლა უპილზო და პლასტიკურპილზიანი ვაზნებითაც შეიძლება

მებრძოლისთვის ცეცხლსასროლი იარაღის მასის შემცირებას ყველა წამყვანი საიარაღო ფირმა ცდილობს. თავის დროზე პოპულარული 7,62 მმ კალიბრის 5,56 და 5,45 მმ კალიბრზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გადაყვანა ამითაც იყო განპირობებული, რომ შეემცირებინათ მსროლელის მიერ სატარებელი ვაზნების საერთო მასა ან გაეზარდათ უფრო მცირე მასის ვაზნების რაოდენობა.

აშშ-ის არმია უფრო შორს წავიდა და 2000-იანი წლების დასაწყისში წამოიწყო პროგრამა სახელწოდებით LSAT-ი (მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ტექნოლოგია).

ამერიკულმა კომპანია ATK-მ 2010 წლისთვის შექმნა შემსუბუქებული ხელის ტყვიამფრქვევის მოდელი, რომელსაც სროლა უპილზო ვაზნებით შეეძლო.

ერთი შეხედვით რა მოგებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, თუკი ერთი ვაზნა ისედაც რამდენიმე გრამს იწონის? როგორც აღმოჩნდა საქმე სულ სხვანაირად ყოფილა.

ავტომატური კარაბინ M4-ის ერთი 5,56X45 მმ კალიბრის M885 ტიპის ვაზნა 12,5 გ-ს იწონის, ხოლო სპეციალურად LSAT-ის ტყვიამფრქვევისთვის დამზადებული იმავე კალიბრის ერთი უპილზო ვაზნის მასა კი თურმე 6,3 გ-მდეა, ანუ ორჯერ მსუბუქი.

ითითო ვაზნის შემთხვევაში ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ პლასტიკურ რგოლებში 600 ვაზნის ჩაწყობისას განსხვავება უკვე შესამჩნევი ხდება. მაგალითად, LSAT-ის პლასტიკურ რგოლებში ჩაწყობილი 600 უპილზო ვაზნის მასა მხოლოდ 4,6 კგ-ია, მაშინ როდესაც M249SAW ტიპის ხელის ტყვიამფრქვევისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი 5,56 მმ-იანი 600 ვაზნა თავისივე რგოლებთან ერთად 9,4 კგ-ს იწონის.

ორჯერ ნაკლები მასის, მაგრამ იმავე რაოდენობის ვაზნების გადატანა ტყე-ღრეში მოხეტიალე მებრძოლისთვის, რომელიც იარაღისა და ტყვია-წამლის გარდა, ჯავშანჟილეტს,



LSAT-ის სადემონსტრაციო მოდელი

**შედარებისთვის: 5.56x45 მმ კალიბრის ვაზნები ჩაწყობილი ტყვიამფრქვევის რკინის რგოლებში; უპილზო და პლასტიკურჰილზიანი ვაზნები პლასტიკურ რგოლებში**

ჩაფხუტს და კიდევ ათას სხვა რამეს ათრევს, დიდი შედეგათია.

უპილზო ვაზნას არა აქვს მასრა და გასროლის შემდეგ არ არის საჭირო მისი ექსტრაქცია; კაფსულა-დეტონატორი და დაპრესილი დენთი უშუალოდ ტყვიაზეა მიმაგრებული და

**ჩვენი დოსიე: ჰერსპექტიული ამერიკული ხელის ტყვიამფრქვევი LSAT-ი უვაზნებოდ 4,4 კგ-მდე იწონის. მისი სიგრძე 920 მმ-ს აღწევს ბოლომდე გამოწეული ტელესკოპური კონდახით. ლულის სიგრძე 420 მმ-ია. სროლის ტემპი 650 გასროლა/წთ-შია, ტყვიის საწყისი სიჩქარე 915 მ/წმ-ია. სროლის ეფექტური მანძილი 1000 მ-მდეა.**



**პლასტიკურჰილზიან ვაზნაში 5.56 მმ კალიბრის ტყვია ასეთი სახითაა განთავსებული**

ტყვიის გასროლის შემდეგ ბოლომდე იწვიან. ეს მართლაც რევოლუციური გადაწყვეტილებაა საიარაღო საქმეში, მაგრამ ასეთი უპილზო ვაზნების დამზადება ძვირი სიამოვნებაა. სიძვირისა და იმის გათვალისწინებით, რომ უპილზო ვაზნების დაშზადება ტექნიკურად შეიძლება ძალზე გასჭირვებოდათ, ამერიკელმა მეიარაღეებმა ნაკლებად სარისკო გადაწყვეტილება მიიღეს და LSAT-ისთვის პლასტიკურჰილზიანი ვაზნებიც დააშზადეს. ასეთ ვაზნას ტელესკოპური სქემა აქვს, — ტყვია მთლიანადაა „ჩაძირული“ დაპრესილ დენთში და ვაზნას ცილინდრის ფორმა აქვს. ასეთი პლასტიკური ვაზნა, რომელშიც 5,56 მმ კალიბრის ტყვეაა მოთავსებული, მასის მიხედვით შუალედურ ადგილს იკავებს. ეს ვაზნა 8,3 გ-ს იწონის, ხოლო პლასტიკურ

**LSAT-ის ხელის ტყვიამფრქვევიდან სროლის მომენტი**

LSAT-ის პროგრამით შექმნილი ავტომატური კარაბინი, რომლის მჭიდშიც უპილნო და პლასტიკურჰილზიანი ვაზნები ზუსდება

რგოლებში ჩაწყობილი 600 ასეთი ვაზნის საერთო მასა 5,8 კგ-ს აღწევს.

ATK-ს სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ თუ აშშ-ის არმია შეკვეთას გადაწყვეტს, LSAT-ისთვის პერსპექტიული 6,8 მმ კალიბრის უპილნო და პლასტიკურჰილზიანი ვაზნების დაშზადების საკითხიც დადგეს.

2011 წლისთვის ATK-ს პენტაგონისთვის LSAT-ის ტიპის 8 ტყვიამფრქვევი და 100 ათასი უპილნო და პლასტიკურჰილზიანი ვაზნა უნდა გადაეცა საცდელ გამოცდის ჩასატარებლად.

LSAT-ის ტყვიამფრქვევის ბაზაზე კომპანიამ შექმნა ავტომატური კარაბინის პროტოტიპიც, რომელიც ასევე განკუთვნილია უპილნო ვაზნების გამოსაყენებლად.

LSAT-ის პროგრამა მართლაც რევოლუციურია და შეიძლება საერთოდ შეცვალოს წარმოდგენა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღზე, რადგან უპილნო ვაზნების გამოყენებისას ავტომატებს აღარ დასჭირდებათ ჰილზების ექსტრაქცია, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მათ კონსტრუქციას. მეორე მხრივ, უპილნო ვაზნების დაშზადება ახალ ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული და დღეს მათი სერიულად წარმოება ძალზე ძვირი ჯდება. ამიტომაც ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი უპილნო ვაზნებისთვის განკუთვნილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივად გამოჩენა თვით ყველაზე მდიდარ აშშ-ის არმიის შეიარაღებაშიც.

**ირაკლი ალადაშვილი**

ასე გამოიყურება პლასტიკურჰილზიანი (ზემოთ) და უპილნო (ქვემოთ) ვაზნები

LSAT-ი გამოცდის დროს

# პროსტამოლ® უნო

## პროსტაზის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის მძონე მამაკაცებისთვის

6.51/30.



პროსტამოლ® უნო


## აფერხებს პროსტაზის შემდგომ ზრდას და აუმჯობესებს შარდვას


გამოუსადეგარია ბავშვებისა ინსტრუქციის, გაკრძალული ბოლოლებების მოსახვევ დეპარტამენტ ინფორმაციის მისაღებად მიგრძელებელ ექიმს.


BERLIN-CHEMIE
MENARINI